

მაკოპირებელი ჩარხის მოთვალთვალე ამძრავის  
ჰიდრომექანიკური სისტემის მოდელირება  
და დინამიკური გამოკვლევები

გიორგი ზუბიაშვილი

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
„\_\_\_\_\_“ ივლისი, 2013 წელი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ზუბიაშვილი გიორგის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „მაკოპირებელი ჩარხის მოთვალთვალე ამძრავის ჰიდრომექანიკური სისტემის მოდელირება და დინამიკური გამოკვლევები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„\_\_\_\_\_“ 2013 წ.

ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი თ.მჭედლიშვილი

რეცენზენტები:

1.ტ.მ.დ., სრული პროფესორი

ბ. ბოჭოლიშვილი

2.ტ.მ.კ., სსიპ რ. დვალის მანქანათა მექანიკის

ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი

რ. ფარცხალაძე

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წელი

ავტორი: ზუბიაშვილი გიორგი

დასახელება: „მაკოპირებელი ჩარხის მოთვალთვალე ამძრავის  
ჰიდრომექანიკური სისტემის მოდელირება და დინამიკური გამოკვლევები

ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის  
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების  
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა  
ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია  
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს  
პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სირთულეებით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლების მხრივ, განეკუთვნება თანამედროვე ტექნიკაში, კერძოდ საავტო წარმოებაში, გამოყენებული რთულპროფილიანი ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავება.

თანამედროვე ავეჯის რთულპროფილიანი ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავების მექანიზირებისა და ავტომატიზირებისაკენ სწრაფვამ მიგვიყვანა, მექანიკური კოპირების პირდაპირი მოქმედების და მთლიანი გარე დატვირთვის კოპირის ზედაპირზე პირდაპირი ზემოქმედების რიგი საკოპირე-საფრეზავი და საკოპირე-სახები სპეციალიზირებული ჩარხების შექმნის აუცილებლობასთან.

შემუშავებული და შემუშავებაში მყოფი საკოპირე ჩარხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- დღევანდელი დროისათვის შემუშავებული მიმყოლი მექანიზმები და საჩარხო სისტემები სტრუქტურული სქემების და კონსტრუქციების გარკვეული მრავალფეროვნების მიუხედავად შეიძლება შევსებულ იქნენ წარმოებების უფრო ეფექტური ახალი სქემებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით;
- ჩარხებში გამოყენებული მიმყოლი მექანიზმები განეკუთვნებიან რთულ არაწრფივ არასტაციონარულ დინამიკურ სისტემებს.

განსახილველი მიმყოლი მექანიზმების დამუშავებისა და კვლევების სამუშაოების მიმოხილვა მიგვანიშნებს მათში მიმდინარე დინამიკური პროცესების ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების ეფექტურობის ამაღლების სამეცნიერო ტექნიკური ამოცანების აქტუალურობაზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რთულპროფილიანი დეტალების დამატება დამუშავებელი საჩარხო მოწყობილობების ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით ახალი უფრო სრულყოფილი სტრუქტურულად რთული მრავალგანზომილებიანი პიდრომექანიკური მოთვალობების მექანიზმების სქემების და მოდელების, დინამიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავება, მიმართული განსახილველი მოწყობილობების პროექტირებისა და ექსპლუატაციის მაჩვენებლების ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

დასახული მიზანის მიღწევისათვის კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- რთულპროფილიანი დეტალების ხეხვისათვის განეკუთვნილი საჩარხო მოწყობილობების არსებული და მოდიფიცირებული სქემები, მათი აგებისა და დინამიკური კვლევის მეთოდების და მეთოდიკების ანალიზი;
- ავტომატიკის პრეცენტური და პიდრაგლიკური ელემენტებისა და სისტემების შემცველი პირდაპირი კოპირების მოდიფიცირებული სქემების მქონე საჩარხო მოწყობილობების შედარებითი ანალიზი და კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება;
- პიდრომექანიკური მოთვალობები სისტემის გამოყენება რთულპროფილიანი დეტალების ორკორდინატიანი კოპირებით დამუშავებისათვის გამიზნული როტორულ-სახები ჩარხის ფუნქციონალური და სტრუქტურული აგების საკითხების ანალიზი;

- ორკოორდინატიანი კოპირების საჩარხო სისტემის ელემენტების მოძრაობათა სტრუქტურული მოდელის შემუშავება;
- პიდროვიცირებული როტორულ-სახეს ჩარხში პნევმოცილინდრების ღერძებისა და დასამუშავებელ ზედაპირთან კონტაქტის წერტილების, მმართველი რგოლისა და ჩარხის როტორის ფარდობით მოძრაობების ძირითადი კინემატიკური კანონზომიერებების განსაზღვრა რგოლთან ერთად როტორის წრიულ ბრუნვასა და დასამუშავებელი ნამზადის გრძივ მოძრაობებთან ურთიერთკავშირში;
- მთლიანი სისტემის დინამიკის მოდელში პიდრავლიკური ნაწილის მათემატიკური მოდელის ჩართვის სტრუქტურული საკითხის განხილვა და მოთვალთვალე სისტემების დინამიკის მათემატიკური მოდელის აგება;
- როგორც დაფიქსირებული, აგრეთვე მბრუნავი როტორიანი მოთვალთვალე სისტემის კვლევის მეთოდიკების შემუშავება;
- საკვლევი არაწრფივი არასტაციონალური პიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების პარამეტრული სინთეზის გამოყენებითი თეორიის შემუშავება, ამ თეორიის პრაქტიკული აპრობაცია კონკრეტული საწყისი არარეგულირებადპარამეტრებიან სისტემაზე და შემუშავებული თეორიის შესაძლებლობების ანალიზი.

#### **ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:**

- ავეჯის მერქნული დეტალების ხეხვით დამუშავებისათვის გამიზნული ორკოორდინატიანი კოპირების პიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემით აღჭურვილი ჩარხის შემუშავებულ ორიგინალურ სქემაში;
- აგების ორიგინალურ კანონზომიერებასა და შემოთავაზებული ჩარხის პიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემის დინამიკის შემუშავებულ მოდელებში;
- დინამიკური კვლევების მიმართ გამოყენებულ ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიღღომებში და კვლევის მიღებულ შედეგებში.

#### **ნაშრომის პრაქტიკულ დირებულებას შეადგენენ:**

მაკოპირებელი ჩარხის შემოთავაზებული ორიგინალური სქემები, საკვლევი არაწრფივი არასტაციონარული რეგულირების სისტემების მათემატიკური მოდელები, კვლევის მეთოდები და მეთოდიკები, გამიზნული საკვლევი სისტემის პარამეტრების ოპტიმიზაციური შერჩევისაკენ.

**შესავალ ნაწილში** დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა, ჩატარებულია მრავალპროფილიანი ზედაპირების დამამუშავებელი ჩარხებისა და საჩარხო ხაზების აგებისა და კვლევის საკითხების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი.

გაანალიზებულია სხვადასხვა დანიშნულების რთულპროფილიანი დეტალების ფორმაწარმოქმნისათვის გამოყენებული მექანიკური დამუშავების მეთოდები.

ნაჩვენებია, რომ ჩარხებისა და საჩარხო ხაზების სტრუქტურის თვალსაზრისით ფართო გამოყენება პპოვეს როტორულ-სახეებმა მაკოპირებელმა ჩარხებმა და საჩარხო ხაზებმა. არსებულ საჩარხო სისტემებში გამოყენებული მუშა ორგანოების ფარდობით მოძრაობათა სქემების შემდგომი ფუნქციონალური სრულყოფის თვალსაზრისით შემუშავებულია ორკოორდინატიანი კოპირების ფარდობითი მოძრაობების სტრუქტურული სქემა და მასზედ დაყრდობით პიდრომექანიკური

მოთვალთვალე სისტემით აღჭურვილი მრუდწირულ-ფასონური ზედაპირების კოპირებისათვის გამიზნული როტორულ-სახები ჩარხი. ნამზადის, სახები პნევმოცილინდრების, მოთვალთვალე რგოლის და მაკოპირებელი ჩარხის როტორის ფარდობით მოძრაობათა კინემატიკის ანალიზის საფუძველზე მიღებულია სახები პნევმოცილინდრების ღერძების მდებარეობათა არაწრფივი ფუნქციები, ჩარხის როტორის კუთხეურ მოძრაობასთან და ნამზადის გრძივი მიმართულებით მიწოდებასთან დაკავშირებული მოთვალთვალე რგოლისა და როტორის ფარდობით გადაადგილებათა კინემატიკური კანონზომიერებები.

მაკოპირებელ მიმულ და დინამიკურ პროცესებში ფარდობით მოძრაობათა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია დინამიკის აღწერისათვის საჭირო განზოგადოებული კოორდინატები. აგებულია კინეტიკური, პოტენციალური ენერგიების, დისიპაციურ ფუნქციისა და განზოგადებულ ძალთა გამოსახულებები. მიღებულია მოთვალთვალე რგოლის დინამიკის მათემატიკური მოდელი.

საკვლევი სისტემის მოთვალთვალე ამძრავის ჰიდრავლიკური ნაწილის დინამიკის აღწერისათვის გამოყენებული იქნა ძალთა ბალანსისა და სითხის ხარჯების ცნობილი განტოლებები აგებული იქნა მთლიანი მოთვალთვალე სისტემის დინამიკის მათემატიკოსი მოდელი.

დინამიკის შემუშავებული მათემატიკური მოდელების ხარისხობრივი ანალიზის შედეგად შემოთავაზებულია საკვლევი ორრეჟიმიანი მოთვალთვალე ჰიდრომექანიკური სისტემის სინთეზის გამოყენებითი თეორია, აგებული სტაციონარული სისტემის პარამეტრულ სინთეზზე მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით და დინამიკური მდგრადობის პირობის შემოტანაზე არაწრფივ არასტაციონარულ სისტემაში.

თავის მხრივ სტაციონარული სისტემის სინთეზის ძირითადი პროცედურებია: „სასურველი პროცესის გაწრფივებული მოდელის“ პარამეტრული სინთეზი და გარდამავალი პროცესების მიახლოვება არაწრფივ და წრფივ სისტემებში.

საკვლევი სისტემის მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის მეთოდის პროცედურათა რეალიზაციისათვის შემუშავებული იქნა მეთოდიკები: სასურველი პროცესების შემოტანისა, სამიებელი პარამეტრების შერჩევისა და მდგრადობის პირობის შემოტანისა.

ჩატარებულმა საანგარიშო გამოკვლევებმა გვიჩვენეს საკვლევი სისტემის ინჟინრული სინთეზის შემუშავებული თეორიის პრაქტიკული ეფექტურობა.

## Abstract

The engineering processes that are characterized by significant difficulties in terms of improving the degree of mechanization and automation, belongs to applied in modern technology, particularly in the furniture industry, processing of details having complex profile surfaces.

Trend to mechanization and automation of having complex profile surfaces details of modern furniture leads to the necessity of development of specialized direct action copy-milling and copy-planning machines for mechanical copying direct action and full external load templet on surface of templet.

The analysis of developed and being under development copy machines shows that:

- Despite the some variety of developed nowadays follow-up mechanisms and machine tools system's structural layouts and designs, they would be added by more effective new schemes and constructive solutions;
- Applied in the machine tools follow-up mechanisms are belonging to complex nonlinear dynamical non-stationary systems.

The review of considered follow-up mechanisms development and research work shows on actuality of scientific and technical objectives of improving the efficiency of analysis and synthesis methods and methodologies of ongoing in them dynamic processes.

The **objective of work** is presented in terms of functional capabilities of machine tools devices for processing of complex profile details to develop the new structurally more perfect multidimensional hydro-mechanical follow-up mechanisms schemes and models, development of dynamic research methods and methodologies aimed at increasing the effectiveness of the considered equipment design and operational parameters.

For the **achievement of objective** in the research tasks are including:

- existing and modified schemes of intended for complex profile details grinding machine tools equipment, the analysis of their construction and dynamic research methods and methodologies;
- comparative analysis of having direct copying modified schemes machine tools equipment of containing an automatic pneumatic and hydraulic elements and systems and formulation of research objectives;
- analysis of issues of functional and structural construction of application of hydro-mechanical follow-up system in aimed for processing of complex profile details on two-coordinate copying rotor - grinding machine tools;
- development of structural model of two-coordinate copying machine tool system's elements movements;
- definition of main kinematic regularities of pneumatic cylinder's axes and contact points at the processes surface, control link and machine tool's rotor relative movements in hydraulic rotor-grinding machine tools in interaction with link at rotor circular motion and processed work-piece longitudinal movements;
- in the dynamics model of full system the consideration of structural issue of involving of mathematical model of hydraulic part and construction of dynamics mathematical model of follow-up systems;
- development of research methodologies for fixed as well as for rotational rotary follow-up systems;

- the development of applied theory of considered nonlinear nonstationary hydro-mechanical follow-up systems parametric synthesis, practical approbation of this theory on initial uncontrolled systems and possibility of developed theory analysis.

The **scientific novelty of work** includes:

- development of original scheme of equipped with follow-up hydro-mechanical system two coordinate copying machine tool intended for grinding processing of furniture wood details;
- the original regularities of construction and the proposed machine tools hydro-mechanical follow-up system dynamics in developed models;
- Application of original methodological approaches in the dynamical studies and obtained results of researches.

The **practical value of work** includes:

The offered original schemes of copying machine tool, the mathematical models of considered nonlinear non-stationary control systems, research methods and methodology, aimed for researched system's parameters optimization selection.

In the **introductory part** are grounded the actuality of dissertational work, is carried out the analysis of recent state of construction and research of machine tools and machining lines for processing of multi-profile surface.

Are analyzed the applied mechanical processing methods for various purposes complex profile details shape formation.

It is shown that in the terms of machine-tools and machining lines structure widely are applied rotor - grinding copying machine tools and machining lines. Applied in the existing machining systems working bodies the schemes of relative movements in the terms of further functional improvement have been developed the structural scheme of relative movements of two coordinate copying and grounded on it equipped with hydro-mechanical follow-up system aimed for processing of curvilinear - shaped surfaces copying rotor - grinding machine. The work-piece, grinding pneumatic cylinders, follow-up link and copying machine rotor's relative movements kinematical analysis are accepted grinding pneumatic cylinders axes positions non-linear functions, related to the machine rotor angular movement and the supply in longitudinal direction of work-piece follow-up link and rotor's relative movement kinematical regularities.

Grounded on the analysis of relative movements of copying follow-up and dynamical processes are revealed required for dynamic description generalized coordinates. Are constructed the expressions of kinetic, potential energies, dissipative function and the generalized forces. Is accepted the follow-up link's dynamics mathematical model.

For the description of considered system's follow-up drive's hydraulic part dynamics are applied the known equations of balance of forces and fluid consumption and was constructed the mathematical model of dynamics of follow-up system.

As the result of qualitative analysis of the developed mathematical models dynamics is proposed the applied theory of synthesis of researched two-mode follow-up hydro-mechanical system, is constructed a based on parametric synthesis of stationary system in accordance with transition process and the introduction of dynamic stability conditions in nonlinear non-stationary system.

In turn the basic procedures for the stationary system synthesis are the following: “desired process linearized model” parametric synthesis and transition processes approximation for nonlinear and linear systems.

In accordance with transition processes in researched systems for the realization of synthesis method's procedures have been developed the following methodologies: introduction of desired processes, selection of desired parameters and condition of stability.

The conducted reporting study shows the practical effectiveness of researched system's engineering synthesis developed theory.

## შინაარსი

შესავალი .....	14
<b>1. ლიტერატურული მიმოხილვა .....</b>	<b>18</b>
1.1. რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელი საჩარხო სისტემების სქემების მიმოხილვა და გამოკვლევის მეთოდების სამუშაოების ანალიზი .....	18
1.1.1. არსებული და შემოთავაზებული საჩარხო სისტემების სქემების მიმოხილვა .....	18
1.1.2. მექანიზმების და მანქანების პროექტირებისა და დინამიკური კვლევის სამუშაოების მიმოხილვა .....	35
<b>2. შედეგები და მათი განსჯა .....</b>	<b>47</b>
2.1. პიდრო და პნევმომოწყობილობებით აღჭურვილი საჩარხო სისტემების სტრუქტურული სქემები .....	47
2.2. საკოპირე-სახეები ჩარხის მიმყოლი მექანიზმის დინამიკის მოდელირება .....	60
2.3. დინამიკის მათემატიკური მოდელები ერთკოორდინატიანი კოპირების რეჟიმში .....	71
2.4. პიდრომექანიკური მიმყოლი სისტემის დინამიკური კვლევა .....	77
2.4.1. დინამიკური სტრუქტურული სქემები და დინამიკური კვლევის თავისებურებები .....	77
2.4.2. საკვლევის სისტემის დინამიკური სინთეზი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით .....	80
2.6. რთულპროფილიანი ზედაპირების სამკოორდინატიანი კოპირების სისტემა .....	96
2.7. მაკოპირებელი ჩარხის სამკოორდინატიან მოთვალთვალე სისტემის ელექტროპიდრავლიკური სტრუქტურა .....	103
2.8. სამკოორდინატიანი მოთვალთვალე სისტემის დინამიკური ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომები .....	108
საერთო შედეგები და დასკვნები .....	116
<b>ლიტერატურა .....</b>	<b>119</b>
<b>დანართი .....</b>	<b>127</b>

## ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. წრიული და სწორხაზოვანი კვეთის მქონე დეტალების სახები ხაზის ტექნოლოგიური სქემა .....	25
ნახ. 2. სწორხაზოვანი დეტალების დამამუშავებელი ჩარხის მოთვალთვალე მექანიზმის სქემა .....	26
ნახ. 3. ცვლადი კვეთის მქონე ძელური დეტალების სახები მოთვალთვალე მექანიზმის სქემა .....	26
ნახ. 4. მრუდხაზოვანი კონტურული დეტალების ხეხვის ტექნოლოგიური სქემა .....	28
ნახ. 5. ბრტყლადგადუნული ძელური დეტალების ხეხვისათვის გამიზნული მოთვალთვალე მექანიზმის სქემა .....	29
ნახ. 6. საკოპირე-სახები ჩარხის მიმყოლი მექანიზმის სტრუქტურული სქემა .....	31
ნახ. 7. მაკოპირებელი-სახები მოწყობილობის სტრუქტურული სქემა .....	33
ნახ. 8. ორკოორდინატიანი კოპირების სახები ჩარხი .....	34
ნახ. 9. პერვატიკური მიმჭერი მოწყობილობის პრინციალური სქემა .....	48
ნახ. 10. მაკოპირებელი ჩარხის კინემატიკური სქემა .....	50
ნახ. 11. ჰიდრომოთვალთვალე მექანიზმის სქემა ბრტყელ- მრუდწირულ ფასონური დეტალებისათვის .....	52
ნახ. 12. დროსელური რეგულირების ჰიდროამძრავი მოქმედი დატვირთვებით, არახისტი საყრდენებითა და გაყვანილობით .....	53
ნახ. 13. მუდმივი წნევის კვების წყაროდან მომუშავე დროსელური რეგულირების ჰიდროამძრავის სტატიკური მახასიათებლები .....	55
ნახ. 14. მარტივი ჰიდროცილინდრის სქემა .....	56
ნახ. 15. ა) ორმხრივჭოკიანი და რეალური მკვეთარა გამანაწილებლიანი ჰიდროცილინდრი; ბ) ჰიდროცილინდრის უგანზომილებო ჰიდრავლიკური სიხისტის დამოკიდებულება დგუშის უგანზომილებო გადაადგილებასთან .....	57
ნახ. 16. ფარდობით მოძრაობათა კინემატიკის სქემა .....	61
ნახ. 17. ფარდობით მოძრაობათა კინემატიკის სქემა .....	72
ნახ. 18. გაწრფივებული სისტემის სტრუქტურული სქემა .....	79
ნახ. 19. სისტემის სტრუქტურული სქემა .....	81
ნახ. 20. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა .....	82
ნახ. 21. სინთეზის შედეგად მიღებული ფუნქციონალური დამოკიდებულებები: 1 – $k_v(z_m)$ ; 2 – $b_{px}(z_m)$ ; 3 – $k_{vh}(z_m)$ .....	93
ნახ. 22. სისტემის საგნობრივი სისშირული მახასიათებლები .....	94
ნახ. 23. გარდამავალი პროცესების მრუდები .....	95

ნახ. 24. მაკოპირებელი ჩარხის სიგრცითი კინემატიკური სქემა .....	97
ნახ. 25. მაკოპირებელი ჩარხის კინემატიკური სქემა .....	98
ნახ. 26. მდებარეობის ელექტრული უკუკავშირიანი ელექტროპიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავის პრინციპული სქემა .....	104
დანართი.	
ნახ. 1. ელექტროპიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავის გაწრფივებული მოდელის სტრუქტურული სქემა .....	127
ნახ. 2. მასით დატვირთული ელექტროპიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავის სქემა დამატებითი ელექტრული უკუკავშირით აჩქარებაზე .....	128
ნახ. 3. მასით დატვირთული ელექტროპიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავის სქემა .....	129

## **მადლიერება**

უპირველეს ყოვლისა მადლობა უფალს შემწეობისათვის.

მსურს გამოვხატო მადლიერება სატრანსპორტო და  
მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის და განსაკუთრებით № 133  
დეპარტამენტის თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც მთელი ჩემი  
სადისერტაციო თემატიკის კვლევის პერიოდში გვერდში მედგნენ  
როგორც პროფესიული, ასევე მორალური თვალსაზრისით.

თემატიკის კვლევის პროცესის სწორად წარმართვაში გაწეული  
განსაკუთრებული ღვაწლისათვის, მსურს გამოვხატო მადლიერება ჩემი  
ხელმძღვანელის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბ-ნ  
თამაზ მჭედლიშვილის მიმართ.

## შესავალი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე ეტაპი მჭიდრო კავშირშია ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე დაფუძნებული წარმოების სრულყოფაზე და მუშების შრომის გამაუმჯობესებელი, შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზირებისა და ავტომატიზირებისათვის საჭირო მაღალმწარმოებლური მოწყობილობების შექმნაზე.

ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სირთულეებით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლების მხრივ, განეკუთვნება თანამედროვე ტექნიკაში, კერძოდ საავაჯო წარმოებაში, გამოყენებული რთულპროფილიანი ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავება.

ცნობილია, რომ მექანიკური დამუშავებით დეტალების რთულპროფილიანი ზედაპირების ფორმაწარმოქმნას აქვს საკმაოდ ფართო ტექნოლოგიური გამოყენება ამ მხრივ საკოპირე მექანიზმების მრუდხაზობრივი (გაღუნული და მრუდწირულ-ფასონური) დეტალების მექანიკურად დასამუშავებელი ჩარხებისა და საჩარხო სისტემების შექმნა და შემდგომი სრულყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს.

თანამედროვე ავეჯის რთულპროფილიან ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავების მექანიზირებისა და ავტომატიზირებისაკენ სწრაფვამ მიგვიყვანა, მექანიკური კოპირების პირდაპირი მოქმედების და მთლიანი გარე დატვირთვის კოპირის ზედაპირზე პირდაპირი ზემოქმედების რიგი სპეციალიზირებული და საკოპირე-სახები სპეციალიზირებული ჩარხების შექმნის აუცილებლობასთან.

შემუშავებული და შემუშავებაში მყოფი საკოპირე ჩარხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- დღევანდელი დროისათვის შემუშავებული მიმყოლი მექანიზმები და საჩარხო სისტემები სტრუქტურული სქემების და კონსტრუქციების გარკვეული მრავალფეროვნების მიუხედავად შეიძლება შევსებულ იქნენ წარმოებების კონკრეტული სახეობებისთვის უფრო ეფექტური ახალი სქემებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით;

- ჩარხებში გამოყენებული მიმყოლი მექანიზმები განეკუთვნებიან რთულ არაწრფივ არასტაციონარულ დინამიკურ სისტემებს. დრეკად-დისიპაციური და არასტაციონარული კავშირები, დამახასიათებელი განსახილველი მიმყოლი მექანიზმების მექანიკური სისტემებისათვის, განპირობებული დრეკადი მახასიათებლებით და სისტემის ცალკეული რგოლების მდებარეობის არაწრფივი ფუნქციებით, ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მათში მიმდინარე დინამიკურ პროცესებზე, რომლებიც თავის მხრივ, მთლიანობაში ბევრად განაპირობებენ საჩარხო სისტემების მუშაობის ტექნიკურ მახასიათებლებს.

განსახილველი მიმყოლი მექანიზმების დამუშავებისა და კვლევების სამუშაოების მიმოხილვა მიგვანიშნებს მათში მიმდინარე დინამიკური პროცესების ანალიზისა და სინთეზის მეთოდებისა და მეთოდიკების ეფექტურობის ამაღლების სამეცნიერო ტექნიკური ამოცანების აქტუალურობაზე.

**ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელი საჩარხო მოწყობილობების ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით ახალი უფრო სრულყოფილი სტრუქტურულად რთული მრავალგანზომილებიანი ჰიდრომექანიკური მოთვალობები მექანიზმების სქემების და მოდელების, დინამიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების შემუშავება, მიმართული განსახილველი მოწყობილობების პროექტირებისა და ექსპლუატაციის მაჩვენებლების ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

**დასახული მიზნის** მიღწევისთვის კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- რთულპროფილიანი დეტალების ხეხვისათვის განკუთვნილი საჩარხო მოწყობილობების არსებული და მოდიფიცირებული სქემების, მათი აგებისა და დინამიკური კვლევის მეთოდების და მეთოდიკების ანალიზი;
- ავტომატიკის პნევმატური და ჰიდრავლიკური ელემენტებისა და სისტემების შემცველი პირდაპირი კოპირების მოდიფიცირებული სქემების მქონე საჩარხო მოწყობილობების შედარებითი ანალიზი და კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება;
- ჰიდრომექანიკური მოთვალობები სისტემის გამოყენება რთულპროფილიანი დეტალების ორკორდინატიანი კოპირებით დამუშავებისათვის

გამიზნული როტორულ-სახები ჩარხის ფუნქციონალური და სტრუქტურული აგების საკითხების ანალიზი;

- ორკოორდინატიანი კოპირების საჩარხო სისტემის ელემენტების მოძრაობათა სტრუქტურული მოდელის შემუშავება;
- ჰიდროფიცირებული როტორულ-სახე ჩარხში პნევმოცილინდრების ღერძებისა და დასამუშავებელ ზედაპირთან კონტაქტის წერტილების, მმართველი რგოლისა და ჩარხის როტორის ფარდობით მოძრაობების ძირითადი კინემატიკური კანონზომიერებების განსაზღვრა რგოლთან ერთად როტორის წრიულ ბრუნვასა და დასამუშავებელი ნამზადის გრძივ მოძრაობებთან ურთიერთკავშირში;
- მთლიანი სისტემის დინამიკის მოდელში ჰიდრავლიკური ნაწილის მათემატიკური მოდელის ჩართვის სტრუქტურული საკითხის განხილვა და მოთვალთვალე სისტემების დინამიკის მათემატიკური მოდელის აგება;
- როგორც დაფიქსირებული, აგრეთვე მბრუნავი როტორიანი მოთვალთვალე სისტემის კვლევის მეთოდიკების შემუშავება;
- საკვლევი არაწრფივი არასტაციონალური ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემების პარამეტრული სინთეზის გამოყენებითი თეორიის შემუშავება, ამ თეორიის პრაქტიკული აპრობაცია კონკრეტული საწყისი არარეგულირებადპარამეტრებიან სისტემაზე და შემუშავებული თეორიის შესაძლებლობების ანალიზი.

#### **ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:**

- ავეჯის მერქნული დეტალების ხეხვით დამუშავებისათვის გამიზნული ორკოორდინატიანი კოპირების ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემით აღჭურვილი ჩარხის შემუშავებულ ორიგინალურ სქემაში;
- აგების ორიგინალურ კანონზომიერებასა და შემოთავაზებული ჩარხის ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემის დინამიკის შემუშავებულ მოდელებში;
- დინამიკური კვლევების მიმართ გამოყენებულ ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიდგომებში და კვლევის მიღებულ შედეგებში.

#### **ნაშრომის პრაქტიკულ დირექტულებას შეადგენენ:**

მაკოპირებელი ჩარხის შემოთავაზებული ორიგინალური სქემები, საკვლევი არაწრფივი არასტაციონარული რეგულირების სისტემების მათემატიკური მოდელები, გვლევის მეთოდები და მეთოდიკები, გამიზნული საკვლევი სისტემის პარამეტრების ოპტიმიზაციური შერჩევისაგან.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელი  
საჩარხო სისტემების სქემების მიმოხილვა და  
გამოკვლევის მეთოდების სამუშაოების ანალიზი

### 1.1.1. არსებული და შემოთავაზებული საჩარხო სისტემების სქემების მიმოხილვა

რთულპროფილიანი დეტალები და სხვა რთული ზედაპირების სახეები, გეომეტრიული პარამეტრებისა და ტიპოზების მიხედვით მზადდება დამუშავების სხვადასხვა სახეების გამოყენებით [1-7].

წინა ოპერაციებისას მიღებული ზომების სიზუსტის ხარისხისა და გეომეტრიული ფორმების მიხედვით, რთულპროფილიანი დეტალების შემდგომი დამუშავება ხორციელდება სხვადასხვა სახის მექანიკური მეთოდების გამოყენებით.

ასხვავებენ დეტალების რთულპროფილიანი ზედაპირების ფორმა-წარმოქმნისათვის გამოყენებული მექანიკური დამუშავების მეთოდების ორ ჯგუფს:

- 1) ზედაპირების დამუშავებას თავისუფალი კინემატიკური კავშირის სისტემით „დეტალი-მჭრელი-იარაღი“;
- 2) ზედაპირების დამუშავებას მოცემული კინემატიკური კავშირიანი სისტემით „დეტალი-იარაღი“.

ამ ჯგუფთაგან თითოეული თავის თავში მოიცავს ზედაპირების ფორმა-წარმოქმნის უამრავ ხერხს. ზედაპირების დამუშავება მოცემული კინემატიკური კავშირით „დეტალი-იარაღი“ საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გეომეტრიული ზომების საჭირო სიზუსტე და თავისუფალი კინემატიკური კავშირიანი სისტემის გამოყენებით ზედაპირული ფენის საჭირო სიმქისე და ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები.

წარმოებაში ზედაპირების ფორმა-წარმოქმნას თავისუფალი კინემატიკური კავშირებით იყენებენ გასაწმენდი განმამტკიცებელი სახები და საპრიალებელი ოპერაციებისას, როდესაც ზომებისა და გეომეტრიული ფორმების სიზუსტე ჯდება წინამორბედი ოპერაციის დაშვების ველის საზღვრებში, ან როდესაც ზემოთ ხსენებული

პარამეტრები ტექნიკური პირობებით ნახაზზე აღნიშნული არ არის. წინამორბედ თპერაციებს შეიძლება წარმოადგენენ ფრეზვა, ჩარხვა და ა.შ.

ზედაპირების ფორმაწარმოქმნას წინასწარმოცემული კინემატიკური კავშირით „დეტალი-იარაღი“ წარმოებაში იყენებენ ისეთი დეტალების დამზადებისას, რომელთა ზომების სიზუსტეები და დეტალების ზედაპირების გეომეტრიული მახასიათებლები წარმოდგენილია ნახაზზე ტექნიკური პირობებით. ამ ჯგუფის კლასიფიცირება შეიძლება აგრეთვე ზედაპირების დამუშავებით მიმყოლი სისტემების გამოყენებით, ან გამოყენების გარეშე.

როგორი ზედაპირების დამუშავების მექანიზაციის დასაწყისი შეიძლება მივაკუთვნოთ მე-15 საუკუნეს, როცა პირველად იქნა შექმნილი ხელის მიწოდების მქონე საკოპირე-სახარატო ჩარხები; წყლის ბორბლების, ხოლო შემდგომში ორთქლის მანქანების და ელექტროძრავების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა დამუშავების პროცესების მექანიზირება [1, 2]. თავიდან არსებობდნენ მხოლოდ პირდაპირი მოქმედების მექანიკური კოპირების და კოპირის ზედაპირზე მთლიანი გარეშე დატვირთვის პირდაპირი ზემოქმედების მქონე საკოპირე ჩარხები. შემდგომში (XX საუკუნის დასაწყისიდან) გამოჩნდნენ საფრეზავი, სახარატო, სარანდი, კარუსელური და სახები საკოპირე ჩარხები, რომლებშიც ელექტრობის, ჰიდრავლიკის და პნევმატიკის გამოყენებით რეალიზებულია კოპირზე არაპირდაპირი ზემოქმედების მეთოდები.

როგორი ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავების საშუალებების დიაპაზონი საკმაოდ მრავალფეროვანია – ეს არის უნივერსალური ჩარხების სპეციალური გამართვებისა და ხელსაწყოების გამოყენება; საკოპირე ჩარხები ხელის, მექანიკური, ელექტრული, ჰიდრავლიკური მართვით; პროგრამული მართვის ჩარხები ბრტყელი და სივრცითი ზედაპირებისათვის [8-10].

პროგრამული მართვის ჩარხებს აქვთ რიგი უპირატესობები საკოპირე ჩარხებთან მიმართებაში: დია სახის კოპირების დამზადებაზე ხარჯების არარსებობა, მათი რემონტი და შენახვა [11, 12]. პროგრამული მართვის ჩარხების ეკონომიკურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო

რთულია დეტალი, მეტია კვანძების გადაადგილება, მეტია დამუშავების დრო. მაგრამ, მათი მართვის პროგრამის მომზადების გარკვეულმა სირთულეებმა, ბევრი დამცავი და მარეგულირებელი მოწყობილობების არსებობამ და გარკვეული, ასეთი ჩარხების სპეციფიკასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების არსებობამ, განსაზღვრა საკოპირე ჩარხების ფართოდ გამოიყენება. ლითონდამუშავებაში შეიძლება აღვნიშნოთ საკოპირე-საფრეზავი ჩარხები შტამპებისა და პრესფორმების, სანიჩბავი ხრახნების ფრთების და პიდრავლიკური ტურბინების ფრთების დასამუშავებლად [4, 12-14]. ასეთი დანიშნულების ჩარხებს უშვებენ საფრეზავი ჩარხების ჩარხმშენებელი ქარხანა (ქ. სანქტ-პეტერბურგი), საფრეზავი ჩარხების ქარხანა (ქ.ნიჟნი-ნიჟგოროდი), ფირმა „ეშერ-ვისი“ (Esher-Wyss). ორენბურგი ჩარხმშენებელი ქარხანა უშვებს საკოპირე-სარანდ ჩარხებს. პროგრამული მართვის ჩარხებს შორის უნდა აღინიშნოს კოლიმენსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში გამოშვებული სანიჩბავი ხრახნების დამამუშავებელი ჩარხი, ფირმების „კობე“-სა (Kobe Steel Corporation) და „მიცუბიშის“ ჩარხები [2].

საკოპირე-სახებ ჩარხებს შორის შეიძლება აღინიშნოს ნიჩბების დასამუშავებელი ჩარხები, მოდელის CШЛН, CШВК, УХОЛ, ლენტურ-სახები ჩარხები განკუთვნილი დიდგაბარიტიანი დეტალების ხეხვისათვის, დიდი დიამეტრის მქონე ბრუნვითი ფასონური სხეულების სპეციალური სახები ჩარხები, ჩარხი XIII-152 განკუთვნილი წყლის ტურბინის ფრთების ხეხვისათვის.

ხის დამუშავებაში ფართო გამოყენება პპოვეს შემდეგი ფირმების საკოპირე-საფრეზმა ჩარხებმა „Reichenbacher“ (გვრ) და „Zucerman“ (აგსტრია) [15].

ფირმა „Reichenbacher“-ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჩარხს წარმოადგენს ხისტი კოპირით მომუშავე მრავალშპინდელიანი საკოპირე-საფრეზავი ჩარხი.

ცნობილია ШлДБ-3 [6] მოდელის ჩარხი. მოცემული ჩარხი განკუთვნილია მცირე ზომის გამობურცული და შეზნექილი ცილინდრული და კონუსური ზედაპირების მქონე დეტალების გასახებად. ჩარხი აღჭურვილია სახები დისკოთი და ბაბინით. მუშა შპინდელს გასახებ ნაკეთობაზე ქარგოლის მარცვლებისაგან წარმოქმნილი გრძივი

ნაკაწრების მოცილებისათვის, მინიჭებული აქვს დერძული რხევები (ოსცილაცია).

ჩარხზე დეტალების დამუშავება ხდება ნამზადების ხელით მიწოდებით და ჩარხის კონსტრუქციული თავისებურებების გამო მასზე შეუძლებელია ხარისხიანად მოხდეს წრიული კვეთის მოღუნული დეტალების დამუშავება. მრეწველობა უშვებს აგრეთვე, ხის დეტალების მრუდხაზიანი ზედაპირების ხეხვისათვის განკუთვნილ შპСЛ-2 [6] მოდელის ჩარხს. ხეხვა წარმოებს წამყვან და ამყოლ შკივებზე გადაჭიმული მოძრავი უწყვეტი სახეხი ლენტის მეშვეობით, ყოფილი სსრკ-ს საავეჯო საწარმოებში მერქნისაგან გაღუნული დეტალების დამზადება ყველაგან ხორციელდებოდა ძირითადად ასეთი ტიპის ჩარხებზე, მაგრამ დეტალების ხელით მიწოდება და დამუშავების პროცესში მათი გადაბრუნება ვერ უზრუნველყოფდა სახეხი დეტალების ზედაპირების დამუშავების მაღალ ხარისხს და ხეხვის მაღალ წარმადობას.

სპეციალურად გარდამავალ კვეთის მქონე გაღუნული, სწორხაზოვანი და მრუდხაზოვანი დეტალების, აგრეთვე, წრიული კვეთის მქონე გაღუნული დეტალების ხეხვისათვის მრეწველობა უშვებს შპПФ-2 მოდელის ჩარხს [7]. ჩარხი შედგება სადგარისაგან, რომელზეც დამაგრებულნი არიან პლანსაყელური, გადამტანი სახეხი ლენტები, გადაცემათა კოლოფი, მიმწოდებელი და მიმღები გორგოლაჭები, მიმჭერი უთოების გადამაადგილებელი პლანეტარული მექანიზმი, ელექტრო და პნევმომოწყობილობები, დასამუშავებელი დეტალების მიწოდება და ცენტრირება ხდება მიმწოდებელი და მიმჭერი გორგოლაჭების მეშვეობით.

ხეხვის პროცესში დასამუშავებელი დეტალი გადაადგილდება მბრუნავ პლანსაყელურთან მიმართებაში. ხეხვის მექანიზმი შედგება ღრუ შპინდელზე დამაგრებული პლანსაყელურისა და ორი სახეხი ლენტისაგან. თითოეული სახეხი ლენტი გადაჭიმულია სამ შკივზე, რომელთაგან ერთ-ერთი წამყვანია, მეორე – დამჭიმი, ხოლო მესამე არეგულირებს შკივებიდან ლენტის ჩამოქანებას. სახეხი ლენტის ნაკეთობასთან მიჭერა ხორციელდება პნევმატიკური უთოებით.

საპატენტო ლიტერატურიდან ცნობილია მრავალი მრუდხაზოვანი

და სწორხაზოვანი დეტალების სახები ჩარხი [16], რომელიც შეიცავს სახეს ლენგსა და მიმწოდ გორგოლაჭებიან მბრუნავ მჭიდს, რომელთა შორის ტარდება ფასონური ნამზადი. ჩარხს აქვს ისეთივე ნაკლოვანებები, როგორც ახასიათებს შპПФ-2 მოდელის ჩარხს. ეს არის გაღუნული ნამზადების მიმწოდებელ გორგოლაჭებს შორის გატარების უზრუნველყოფის სირთულე, განსაკუთრებით გორგოლაჭების ერთი წყვილიდან მეორეზე გადასვლისას. დიდი სირთულის მქონე დეტალების დამუშავებისას ხეხვის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, რაც აიხსნება მბრუნავი ნამზადის ხშირი მოცილებით სახები ლენგიდან. გარდა ამისა ჩარხის კონსტრუქციაში არ არის გამორიცხული შკივებიდან ნამზადის დამუშავებაზე მიწოდებით გამოწვეული სახები ლენგის გადმოვარდნის ალბათობა. ეს ნაკლოვანებები ნაწილობრივ გამოსწორებულია თავისუფალ ლენგიან [17] მრგვალსახეს ჩარხში, რომელშიც მზიდი ვერტიკალური ლენგი გადაჭიმულია მქნევარას სქემით ჩამოკიდებულ საერთო კავშირის მქონე შკივებზე. ქვემოთ ნაწილში ლენგი ზამბარებიანი უთოთი მიეჭირება დასამუშავებელ დეტალთან.

მიწოდების მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს დერძის მიმართ კუთხით დაყენებულ გორგოლაჭებს, ანიჭებს დეტალს ერთდროულად მიწოდებით და ბრუნვით მოძრაობებს. ამ ჩარხზე შესაძლებელია მხოლოდ წრიული წვეთის მქონე ცილინდრული წაგრძელებული დეტალების დამუშავება. გარდა ამისა აქ, მიმწოდებელ გორგოლაჭებს შორის დეტალის გაცურების გამო, არ არის გამორიცხული ამოხეხვის ან დეტალის ზედაპირზე ე.წ. „მიმწვრობის“ წარმოქმნის შესაძლებლობა.

სსგ „lenproeqtmebel“-მა შეიმუშავა რთული კონფიგურაციის მქონე დეტალების სახები ჩარხი. აქ ხეხვა წარმოებს უწყვეტი ლენგით; მიწოდება ხორციელდება მიმწოდი დოლით, რომელიც მიუვება მისაწოდებელი დეტალის რთულ პროფილს.

ჩარხის ნაკლად ითვლება ის, რომ მასზე შეუძლებელია ოვალური და მრგვალი ფორმის ნამზადების დამუშავება. გფრ-ის საკოპირე სახეს ჩარხში, რომელიც აღწერილია ნაშრომში [18] მინიმუმ ერთი ნამზადი და კოპირი მაგრდება ურთიერთპარალელურად ორ მიმჭერ მოწყობილობებს შორის და სინქრონულად მოიყვანება ბრუნვაში. კოპირისა და ნამზადის

სიბრტყეების ორივე მხარეს დამაგრებულია თითო ბრჯენი, რომელთაგან თითოეული შედგება კოპირთან ურთიერთმოქმედი მოხვევადი მზიდი მიღისა და ლენტურ-სახები თავაკის ან საკოპირე გორგოლაჭის დამჭერისაგან. თითოეული ლენტურ-სახები თავაკის შემადგენლობაში შედიან: ამძრავი საკონტაქტო ლილვაკი, მიმმართველი გორგოლაჭი და სხვადასხვა ტიპის აბრაზიული ლენტა. კოპირის არსებობა მოითხოვს დასამუშავებელი დეტალის სრულ შესაბამისობას კოპირთან, რაც გაღუნული დეტალებისათვის მიუღებელია ერთგვაროვანი დეტალების სიმრუდეში დიდი განსხვავებების გამო. იგივე ნაკლი ახასიათებს ფასონური ზედაპირების სახეს ჩარხს [19] (დიდი ბრიტანეთი).

ფირმა „Helma Holland B.V“ უმვებს სახეს ჩარხს TS-65 [20], რომელზედაც შეიძლება დამუშავდეს ოვალური, სფერული, ფასონური დეტალები (სკამის ფენები, ნაჯახის ტარები და სხვა).

ხეხვა წარმოებს უწყვეტი აბრაზიული ლენტების მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად განლაგებულნი არიან როტორზე დამაგრებულ შკივებზე. ხსენებული როტორი ახორციელებს დასამუშავებელი ნამზადის მოგორებას. ნამზადის მიწოდება ხდება ხელით, თვითმაცენტრებელი მოწყობილობების დახმარებით გამორთული როტორის შემთხვევაში. წინასწარი დრენო სახეს ლენტებს შორის ყენდება სპეციალური შკალების მეშვეობით დასამუშავებელი ნამზადის უმცირესი კვეთის მიხედვით.

ჩარხის ნაკლოვანებას წარმოადგენს მასზე კვადრატული და მრავალკუთხიანი ნამზადების დამუშავების შეუძლებლობა.

ჩარხ LA-65-ს აწარმოებს იტალიური ფირმა „Sibo“, [21]. საუბარია წყობილათი აღჭურვილ ჩარხზე, რომელიც განკუთვნილია სწორი, ოვალური და პროფილირებული დეტალების (მაგ. გომერშლილის განივი ჭრილი და ა.შ.) დიდი და საშუალი სერიებით დამზადებისათვის.

ხეხვის ჩატარების მიზნით, ნამზადები ავტომატურად ამოიღება წყობილადან, მაგრდება ცენტრში (ან შეერილებს შორის) და მიეწოდება სახეხი ლენტის გასწვრივ.

ფირმა „Zucherman“ (ავსტრია) და „Reichenbacher“ (გერმანია) უშვებენ აგრეთვე ხისტ კოპირზე მომუშავე სახეს ჩარხებს.

თბილისის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ, თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში შექმნილი და წარმოებაში დანერგილი იქნა ავეჯის სწორკუთხოვანი და წრიული კვეთის მქონე დეტალების სახები ნახევრადავტომატური ხაზი. ხაზის კონსტრუქცია დაცულია რიგი საავტორო უფლებებით (№№ 730542, 806376, 865616, 1054027, 1060425, 1135616).


ხაზის ტექნოლოგიური სქემა (ნახ. 1.1) შედგება მაგიდისაგან 1, ტრანსპორტიორისაგან, შედგენილი ამძრავი 2 და მიმჭერი 3 გორგოლაჭების სექციისა და როტორებისგან 4, რომელთაგან თითოეულს აქვს ელასტური პნევმოცილინდრიანი 5 ორი სახები ინსტრუმენტი. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან ისეთი აბრაზიული ზუმფარებით, რომელთა მარცვლოვანობა თანდათანობით მცირდება სახები დეტალების 6 სვლის შესაბამისად.

ხაზი მუშაობს შემდეგნაირად: სახებ პნევმოცილინდრებს და მიმმართველებს შორის ყენდება ღრებოები სიმეტრიულად როტორის ბრუნვის დერძის მიმართ ამძრავი და მიმჭერი გორგოლაჭების სექციები ყენდება ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათ შორის მიწოდებული დეტალის მიჭერა, რომლის სიმეტრიის დერძი უნდა ემთხვეოდეს როტორის დერძს.


გორგოლაჭები წარიტაცებენ დეტალს და გაათრევენ მას პნევმოცილინდრებს შორის, რომლებიც ბრუნვავენ როგორც თავისი დერძების გარშემო ასევე როტორთან ერთად დეტალის დერძის მიმართ.

სწორხაზოვანი დეტალების დამუშავებისათვის განკუთვნილი ჩარხის მიმყოლი მექანიზმის სქემა მოყვანილია ნახ. 1.2. მექანიზმი მოიცავს მხრეულებზე 2 და 3 დაკიდებულ პნევმატიკურ სახებ ცილინდრებს 4 და 5 ნამზადზე 1 პნევმოცილინდრების მიჭერა რეალიზდება ზამბარების მეშვეობით. ნამზადის გრძივი მიწოდება ხორციელდება ნახაზის სიბრტყის მართობული მიმართულებით.


ცვალებადი კვეთის მქონე ძელური ნამზადების ხეხვისათვის გამიზნული ჩარხის მიმყოლი მექანიზმის სქემა (ნახ. 1.3) მოიცავს მბრუნავ როტორს 1 მხრეულებით 3, 4 და თავისი დერძების ირგვლივ მბრუნავ სახეს პნევმოცილინდრებს.



ნახ. 1. წრიული და სწორსაზოვანი კვეთის მქონე დეტალების  
სახები ხაზის ტექნოლოგიური სქემა



ნახ. 2. სწორხაზოგანი დეტალების დამამუშავებელი  
ჩარხის მოთვალთვალე მექანიზმის სქემა



ნახ. 3. ცვლადი კვეთის მქონე ძელური დეტალების  
სახეხი მოთვალთვალე მექანიზმის სქემა

სახები პნევმოცილინდრები შესრულებულია როგორც გასაბერები და დრეკადები, რაც საშუალებას იძლევა შევქმნათ მათ გარსებში ხეხვის პროცესის რეალიზაციისათვის საჭირო წევა.

როტორის მუშტა მექანიზმი რამკების იძულებითი თანაბარი ქანაობით ახორციელებს მცირე სიჩქარით პნევმოცილინდრების წინსვლით-უპარკევით ფარდობით მოძრაობას გრძივი მიმართულებით, რაც იძლევა აბრაზიული ზუმფარის მთელი ფართის თანაბარი გამოყენებისა და მისი მუშაობის ხანგრძლივობის გადიდების საშუალებას.

აღწერილი ხაზის ძირითად უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მას არ შეუძლია მრუდწირული დეტალების დამუშავება.


ზემოთ აღწერილი ხაზის ბაზაზე დამუშავებულია და დანერგილია თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ნამზადის მრუდხაზობრივ კონტურზე მიყოლით რეალიზებული ნახევრადავტომატური სახები ხაზი (ნახ. 4). [22-290. ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები ამ ხაზში დაცულია საავტორო უფლებებით №№ 624775, 804380, 876379, 929407, 931397, 933396, 990478, 1094725. ხაზში შედის გაღუნული სკამის უკანა ფეხის სფერული შუბლას (ტორეცის) სახები მოწყობილობა.

ნახაზზე 4 წარმოდგენილია ხაზის ტექნოლოგიური სქემა, შემდგარი მაგიდისაგან 1, ამძრავ 2 და მიმჭერ 3 გორგოლაჭების სექციანი კონვეირისა და როტორისაგან 4.


როტორები დაყენებულია მხრეულებზე 5 ქანაობის შესაძლებლობით და თითოეული თავისთავად შეიცავს ორ-ორ სახებინსტრუმენტს აბრაზიულ ზუმფარიანი ელასტიკური პნევმოცილინდრით.

გაღუნული დეტალების დამუშავებისათვის განკუთვნილი ჩარხის მომყოლი მექანიზმის სქემა (ნახ. 5) ხასიათდება უნიფიკაციის ამაღლებული ხარისხით სწორხაზოვანი ძელური დეტალების დამამუშავებელ ჩარხთან მიმართებაში.

ჩარხის როტორი 2 დაყენებულია მხრეულების 4 და 5 მეშვეობით შესრულებული სახსრული პარალელოგრამის ბარბაცაზე 3. სახები პნევმოცილინდრები 7 და 8 დამონტაჟებულია მბრუნავ როტორზე და გააჩნიათ ბრუნვის ცალკე ამძრავები. ზამბარების 9 დანიშნულებაა მექანიზმის წონის ძალთა გაწონასწორება. რხევები ჩახშობისათვის განპირობებულია დემპფერი 6.



ნახ. 4. მრუდხაზოვანი კონტურული დეტალების ხეხვის  
ტექნოლოგიური სქემა



ნახ. 5. ბრტყლადგადუნული ძელური დეტალების სენზორის  
გამიზნული მოთვალთვალე მექანიზმის სქემა

გადუნული დეტალის პროფილი სიმრუდის მიმართ მოთვალთვალე მოძრაობის განხორციელება მიიღწევა როტორებისათვის ჰორიზონტალური გადაადგილებების მინიჭებით მათი მხრეულებზე დაყენების მეშვეობით.

სახები პნევმოცილინდრების ნამზადზე მიჭერის საჭირო ძალა მიიღწევა დრეჩოს სიდიდით ცილინდრებს შორის და მათში არსებული ჰარის წნევით.

დეტალის მრუდწირული კონტური მიიღწევა ჩარჩოს ქანაობით მხრეულებზე.


რადგანაც კონვეირების მიერ გადაადგილებული ნამზადი ხეხვის დროს წარმოადგენს კოპირს, საჩარხო ხაზზე ხორციელდება დიდი ჩაღუნვის ისრის მქონე ნამზადების დამუშავება.

კონვეირების მიერ გადაადგილებული გადუნული ნამზადების პროფილის მიმართ სახები პნევმოცილინდრების მოთვალთვალე მოძრაობა ხორციელდება პნევმოცილინდრებზე ნამზადის გადუნული ნაწილის ზემოქმედებით, რაც ხორციელდება ერთი პნევმოცილინდრის მეორე ცილინდრთან შედარებით მეტი დეფორმაციის მიღების შედეგად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ამძრავთა სისტემების, ჩარხებისა და კომპლექსების“ კათედრაზე, მრავალშპინდელიანი საფრეზი და როტორულ-სახები ჩარხების თავისებურებების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებული იქნა საკოპირე-სახები ჩარხის სტრუქტურული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს დასამუშავებელი ზედაპირის მიყოლის პროცესს მისი მბრუნავი გასაბერი სახები პნევმოცილინდრებით მოგორების მეშვეობით.

ნახაზზე 6 წარმოდგენილია შემოთავაზებული საკოპირე-სახები ჩარხის სტრუქტურული სქემა.

ნახაზზე: 1 სახები პნევმოცილინდრია, რომელიც ახორციელებს ჩარხის ხორთუმის 2 წერტილის გარშემო რხევით მოძრაობას, მასზე დამონტაჟებული ძრავით, ამძრავი მექანიზმით და მჭრელი ინსტრუმენტის შპინდელით;  $\omega_{\text{ს.}} \dots$  და  $\omega_c$  – სახები პნევმოცილინდრისა და ნამზადის ბრუნვითი მოძრაობების კუთხური სიჩქარეებია;  $\partial_T$  – ხორთუმის კუთხური მოძრაობის კოორდინატა;  $V_{\text{გ}}$  – სახები პრევმოცილინდრის მბრუნავი ნამზადის 3 მიმართ გრძივი მიწოდების სიჩქარე. სახე პნევმოცილინდრსა



ნახ. 6. საკოპირე-სახეხის ჩარხის მიმყოლი მექანიზმის  
სტრუქტურული სქემა

და ნამზადს შორის ძალოვანი ჩაკეტგა რეალიზდება ზამბარა 4-ის მეშვეობით.

ზემოთაღნიშნულის განვითარებით ნახ. 7-ზე წარმოდგენილია მაკოპირებელი-სახეები მოწყობილობის სქემა, რომლის რეალიზაცია აგებულია სახარატო ჩარხებისათვის დამახასიათებელი ფარდობითი მოძრაობების გამოყენებაზე. ამ სქემაზე ციფრებით 1, 2, 3 და 4 აღნიშნულია იგივე სტრუქტურული ელემენტები, როგორც ნახ. 6-ზე. ციფრით 5 აღნიშნულია ჩარხის სუპორტი. განივი  $v_6$  მოძრაობა ხორციელდება ქვედა ნალოს გადაადგილებებით. განივი ნალოს და მისი გადაადგილების მექანიზმის არსებობა იძლევა საჭრისი იარაღის უ ღერძის მიმართულებით ოსცილაციური მოძრაობების განხორციელების საშუალებას.


აღსანიშნავია, რომ ნახაზებზე 4-5 მოყვანილი საჩარხო სისტემები შედარებით ზემოთ აღწერილი როტორულ-სახეები ჩარხებისა საშუალებას იძლევიან განხორციელებილი იყოს მრუდმხარა მრუდწირულ-ფასონური დეტალების ორკოორდინატიანი ხეხვის პროცესი.

აღნიშნული საკითხის მხრივ ზემოთ აღწერილი საჩარხო სისტემებია. ფუნქციონალურ განვითარებას მიეკუთვნება ცვალებად-კვეთიანი მრუდწირული ძელური დეტალების ორკოორდინატიანი კოპირების ჩარხი.


ჩარხის სტრუქტურული სქემა მოყვანილია ნახაზზე 8.

აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული ჩარხი, როგორც ერთკოორდინატიანი კოპირების ჩარხების ფუნქციონალური განვითარება თავის სტრუქტურაში ახალ ელემენტებთან ერთად მოიცავს წინამორბედი როტორულ სახეები ჩარხების სტრუქტურულ ელემენტებს.

ჩარხის მუშაობის დროს ზამბარებით 7, 12 და 13 სრულდება მოთვალოვალე მექანიზმების (ეხება რთულპროფილიანი ნამზადის ფიგურულ, ერთის მხრივ, და მრუდწირულ, მეორეს მხრივ, კონტურებზე შესაგუებელ მოთვალოვალე მექანიზმებს) დაბრუნება საწყის მდგომარეობაში, ხოლო დემპფერებით 9 და 14 ხორციელდება აღძრული რხევების ჩაქრობა.



ნახ. 7. მაკოპირებელი-სახენი მოწყობილობის  
სტრუქტურული სქემა



ნახ. 8. ორკოორდინატიანი კოპირების სახეხი ჩარხი

ხეხვის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის დროს რთულპროფილიანი დეტალის ფიგურულ კონტურზე შეგუება ჩარხში განხორციელებულია სახით, ერთის მხრივ, და ოთხრგოლა მექანიზმის 10, 11, 15 ბარბაცაზე 10 დაყენებული როტორის 3 ქანაობით მხრეულებზე 11 და 15, მეორეს მხრივ, ამასთან აქაც, როგორც წინა განხილული ჩარხების მოთვალთვალე მექანიზმებში, სახეხი ცილინდრების ნამზადზე მიჭერის აუცილებელი ძალა უზრუნველყოფილია კუმშვის ზამბარების 7 და ცილინდრებში ჰაერის წნევის რეგულირებით.

ჩარხის კონსტრუქცია ითვალისწინებს, როგორც ორკოორდინატიან ასევე ერთკოორდინატიან რეჟიმებში მუშაობას.

აღწერილი მაკოპირებელი ჩარხების მწარმოებლურობისა და დამუშავების ხარისხის შემდგომი ამაღლების თვალსაზრისით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აღნიშნული საჩარხო სისტემების აღჭურვა პნევმო და ჰიდროსისტემებით [9, 31-36].

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია პნევმატიკური მიმჭერი მექანიზმების მქონე მრავალშპინდელიანი და ერთკოორდინატიანი

კოპირების პიდრომექანიკური სისტემით აღჭურვილი როტორულ-სახები ჩარჩები [30], რომელთა სტრუქტურული სქემების აღწერა მოცემულია წარმოდგენილი ნაშრომის შემდგომ თავებში.

### 1.1.2. მექანიზმების და მანქანების პროექტირებისა და დინამიკური კვლევის სამუშაოების მიმოხილვა

ამა თუ იმ დასახული თვისებების დამაკმაყოფილებელი მექანიზმებისა და საჩარხო სისტემების აგების ამოცანის გადაწყვეტა იწყება რაციონალური კინემატიკური სქემის მქონე მექანიზმის ფორმირებით.

მექანიზმების სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები პირველად იქნა განხილული ლ.ვ. ასურის და ა.გ. მალიშევის ნაშრომებში. მექანიზმების კლასიფიკაციის შემდგომი განვითარება ასახულია ი.ი. ართობოლევსკის, ვ.ვ. დობროვოლცის [37-42] და რ. ფრანკეს [43] ნაშრომებში.

ბრტყელი მექანიზმების სინთეზის საკითხებს და მრავალრგოლიან სასსროვანი მექანიზმების კვლევებს განიხილავენ თავის შრომებში ნ.ი. ლევიტსკი [44, 45] და ს.ა. ჩერკუდინოვი [46].

დ.ს. თავხელიძის, გ.ა. ჯაბუას და ო.ს. ეზიკაშვილის [47, 48] შრომები მიძღვნილია ბრტყელი მექანიზმების კვლევის საკითხებისადმი.

გ.პ. ბარანოვის ნაშრომები [49] მიძღვნილია წინასწარ დასახული პირობების მიხედვით მექანიზმების კვლევისა და პროექტირების საკითხებისადმი, აგრეთვე მრავალსაფეხურიანი კბილანური და რთული პლანეტარული მექანიზმების კინემატიკური კვლევებისადმი.

ს.ნ. კოჟევნიკოვის წიგნში [50] შეისწავლება სტრუქტურული და კინემატიკური ანალიზების საკითხები; დგინდება მექანიზმების სტრუქტურა და განისაზღვრება რგოლების ცალკეული წერტილების ტრაექტორიები, გადაადგილებები, სიჩქარეები და აჩქარებები, აგრეთვე რგოლების ზომები წინასწარ დასახული პირობების მიხედვით. განიხილება გარეშე მამოძრავებელი და წინააღმდეგობის ძალების ზემოქმედებით გამოწვეულ რგოლების მოძრაობების განსაზღვრის მეთოდები, მოძრაობის რეგულირების, ინერციის ძალების გაწონასწორების საკითხები და სხვა.

რხევების თეორიის საფუძვლები, თავისუფლების ერთ და მრავალი ხარისხის მქონე მექანიკური სისტემების რხევების თეორია და სისტემის საკუთარი სიხშირის განსაზღვრის მეთოდები განიხილება ს.პ. ტიმოშენკოს, დ.ხ. იანგის, უ. უიგერის, ფ.მ. ცხას, ი.ე. მორზეს, პ.გ. ხინკას შრომებში [51-53].

გ.ა. იუდინისა და ლ.ვ. პეტროკასას ნაშრომებში აგრეთვე შემოთავაზებულია მექანიზმების ძალოვანი გათვლის მეთოდები, მანქანების აგრეგატების დინამიკური ანალიზის და სინთეზის ზოგიერთი საკითხები, რომელთაც მიეკუთვნება პერიოდული რხევების რეგულირება და მანქანების გაწონასწორების ამოცანები.

გ.ა. კუდინოვის ნაშრომში [54] შემოთავაზებულია ჩარხების დინამიკური ხარისხის მაჩვენებლების სისტემა და მოცემულია ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩარხების შეფასების საკითხები, თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის ჩატარების საერთო მეთოდიკა.

მიწოდების რაციონალური სიჩქარეები აუცილებელია სიმძლავრის, ტექნოლოგიური წნევების განსაზღვრა, მაღალი ხარისხის და დამუშავების სიზუსტის უზრუნველყოფის პირობების უზრუნველყოფით, ოპტიმალური წარმადობის, გაწყობის მეთოდები და მართვის საკითხები განხილულია ფ.მ. მანჭოსის ნაშრომებში [55].

გ.ლ. ბიდერმანის წიგნში [56] გადმოცემულია წრფივი და არაწრფივი მექანიკური სისტემების რხევების თეორიის საფუძვლები და მანქანათმშენებელი კონსტრუქციების დინამიკური გათვლისთვის საერთო მეთოდების გამოყენება.

მ.ფ. დიმენტერგის ნაშრომში [57] განხილულია მოძრაობის რამოდენიმე შესაძლებელ რეჟიმში მყოფი არაწრფივი სისტემების რხევების კვლევის საკითხები, მოყვანილია სისტემების ხარისხური და არახარისხური იდენტიფიკაციის მეთოდები რხევითი პროცესების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. განხილული საკითხების გადაწყვეტა ხდება ანალიზურად, ელექტრონულ გამომოვლელ მანქანზე მოდელირების გზით.

გ.ლ. ვეიცის ნაშრომში [58] მექანიზმის კვანძების არადარტყმითი ურთიერთქმედების ამსახველ დინამიკურ მოდელებთან ერთად, განხილულია დარტყმითი და ვიბროდარტყმითი ტიპის მოდელები. მათ საფუძველზე ჩატარებულია იძულებითი რხევების კომპლექსური კვლევები,

რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოგაჩინოთ თვითდამუხრუჭებადი სისტემებისათვის დამახასიათებელი რიგი ახალი მოვლენებისა. აქვე მოცემულია არაწრფივი დისიპაციური ძალების კვლევები დრეკად რგოლებიანი მექანიზმების დინამიკის ამოცანებში. განხილულია დისიპაციური ძალების კორექტული ეკვივალენტური გაწრფივების საკითხები, აგრეთვე დამუშავებული მეთოდების გამოყენება თავისუფლების ერთი და მრავალი ხარისხის მქონე სისტემებში რხევების გაანგარიშებისას.

ს.ი. სერგეევის ნაშრომში [59] ძირითადი ყურადღება ექცევა ჰიდრავლიკურ დემპფერებს და ერთი ან რამდენიმე ადგილში თავმოყრილი ბლანტი ხახუნის მქონე წრფივი მექანიკური სისტემების რხევების თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემები ამის შესახებ საქმარისია დემპფერების პროექტირებისათვის ხსენებული მექანიკური სისტემებით აღჭურვილ მანქანებში.

დრეკად-პლასტიკური სხეულების შემთხვევითი რხევები შეისწავლება ვ.ა. პალმოვის ნაშრომებში [60]. სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა იგება გალერკინის მეთოდის ამონასნით სხეულის თავისუფალი დრეკადი რხევების ფორმების მიხედვით რიგში დაშლის გამოყენებით. აღნიშნულია რხევების სხვადასხვა სისტირული შემდგენების ურთიერთზემოქმედება.

დინამიკის მრავალი ამოცანის ამოხსნისას მივდივართ ეფექტური მიახლოებითი რიცხვით-ანალიტიკური და რიცხვითი მეთოდების შემუშავების აუცილებლობასთან. ყველაზე უფრო პერსპექტიულს წარმოადგენს თანამედროვე ეგმ-ზე პრაქტიკულად რეალიზებადი ფართო ამოცანების შემცველი რიცხვითი ანალიზური მეთოდები.

ა.პ. კარტაშოვისა და ბ.ლ. როუდესტვენსკის ნაშრომი [61] ეძღვნება ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების თეორიასა და ძირითად განმარტებებს და ვარიაციული გამოთვლების მარტივ ამოცანებს. მოცემულია აგრეთვე პირველი რიგის კერძო წარმოებულის შემცველი განტოლებების ამოხსნის მახასიათებლების მეთოდები, დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის მიახლოებითი მეთოდები, პერიოდულ კოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების წრფივი სისტემები.

ამერიკელი სპეციალისტების ჯ. ფორსოტისა და კ. მოლერის გამოყენებით მათემატიკასთან დაკავშირებულ შრომებში [62] აღწერილია

წრფივი ალგებრული სისტემების ეგმ-ზე ამოხსნის თანამედროვე მეთოდები. ნაშრომები [63-65] მიძღვნილია მანქანებში დინამიკური პროცესების შესწავლისადმი.

დინამიკური პროცესების მოდელირების და კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილია პროფესორების დ.დ. თავხელიძისა და ვ.ნ. გოგილაშვილის ნაშრომები [66-69].

ამძრავთა მექანიკურ სისტემებში, წარმოქმნილი დინამიკური მოვლენების კვლევათა განსაკუთრებულობის თვალსაზრისით, შესაძლოა მათი, სხვადასხვა მოვლენათა სახის კლასიფიცირება.

დრეკად სისტემებში მანქანის ყველა ელემენტი, რომლებიც გადასცემენ მოძრაობას და იყოლიებენ მანქანის ნაწილებს, მიიჩნევიან დრეკადად; ამასთანავე ელემენტთა დეფორმაცია არ აღემატება სიხისტის ზღვარს, ასეც არის ნარჩენი დეფორმაციები არ გაითვალისწინება. ერთი დრეკადი კავშირის შემთხვევაში სისტემას უწოდებენ ერთკავშირიანს, ორი კავშირის შემთხვევაში – ორკავშირიანს და ა.შ. დრეკად კავშირებს შეიძლება გააჩნდეთ მუდმივი და ცვლადი სიხისტეები. პირველ შემთხვევაში სისტემის რხევითი პროცესებისა და დრეკადი კავშირების განსაზღვრის კვლევისას, დავდივართ როგორც წესი მუდმივ კოეფიციენტიანი წრფივი განტოლების ამოხსნამდე. მეორე შემთხვევაში იგივე მოვლენების კვლევისას დავდივართ არაწრფივი განტოლებების ამოხსნამდე.

სისტემები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შეყურსული მასების სახით დაკავშირებული ხისტი ან დრეკადი რგოლებით, ან კიდვე ელემენტთა განაწილებული მასების სახით. პირველ შემთხვევაში დინამიკის ამოცანათა გადაწყვეტა შეიძლება გამოსახული იქნას ნიუტონის დიფერენციალური განტოლებით (ხისტი კავშირები) ან ლაგრანჯის განტოლებით (დრეკადი კავშირები). გამომდინარე შეყურსულ მასათა რაოდენობიდან სისტემა იწოდება ერთმასიანად, ორმასიანად, სამმასიანად და ა.შ.

განაწილებული მასების შემთხვევაში დრეკადი სისტემის დინამიკის განხილვისას დავდივართ გადაწყვეტილებამდე ე.წ. ტალღურ განტოლებებამდე.

კონსერვატიულ სისტემებს უწოდებენ ისეთ სისტემებს, რომლებშიც მოქმედ ძალებს ან ძალურ მომენტებს გააჩნიათ პოტენციალი. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას კონსერვატიულ სისტემებში პრაქტიკულად არ არსებობს ენერგიის შემოდენა და გადენა.

რაიმე განსაზღვრული ნიშნის მქონე დისიპაციური სისტემები (წამყვანი რგოლის სიჩქარის შენარჩუნება, დროის ფუნქციაში დატვირთვების ცვლილების კანონის შენარჩუნება და სხვ.) ხასიათდებიან იმით, რომ მოძრაობის პროცესში არსებული ჩამხმობის ან წყაროს ხარჯზე, როგორიცაა მაგალითად მოძრავი ცვლადი ძალების მნიშვნელობები, რომელიც დაკავშირებულია ძრავის თვისებებთან, ადგილი აქვს უკუცემას ან ენერგიის შემონაკადს.

კონკრეტული სისტემების დინამიკური ამოცანების გამოყვანა ადგილია, ოდონდ მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის კონკრეტული პირობებისათვის იშვიათად გამოიყენებიან.

წონასწორულს უწოდებენ ისეთ სისტემებს, რომლებიც ნებისმიერ მდგომარეობაში, გარე დატვირთვების არ არსებობისას ინარჩუნებენ წონასწორობას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მექანიზმები ან მანქანები, შედგენილი მხოლოდ მბრუნავი ელემენტებისაგან (ვენტილატორი, სახარატო ჩარხის შპინდელის მაბრუნებელი მექანიზმი და სხვ.).

არაწონასწორული სისტემები მხოლოდ ზოგიერთ მდგომარეობაში წონასწორდებიან საკუთარი წონის ძალებით (ექსცენტრული მექანიზმი, მრუდმხარა ბარბაცა და სხვ.).

ხისტი სისტემების დინამიკური ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ძალებით ან მომენტებით განისაზღვროს სისტემის მოძრაობის კანონი (მდგომარეიბა, ნებისმიერი დროის მომენტში სისტემის ყველა წერტილის სიჩქარე და აჩქარება) ან მოცემული მოძრაობის კანონით განისაზღვროს ძალები, რომელთა მოქმედებითაც იგი ხორციელდება.

ხისტი სისტემები მოძრავი დაყვანილი ძალის ზემოქმედების ქვეშ (მომენტი), შეიძლება წარმოდგენილ იქნას ერთი დაყვანილი მასის სახით (ინერციის მომენტი). ამავე დროს შეიძლება მკაცრად განისაზღვროს მდებარეობა (კოორდინატები), დაყვანილი მასის სიჩქარე

და აჩქარება, მოცემულ კოორდინატების ზღვრებში დაყვანილი მასის მოძრაობის დრო, სისტემის დინამიკური დატვირთვების საშუალო დაყვანილი მნიშვნელობები (რხევების გაუთვალისწინებლად).

დაყვანილი მალები შეიძლება დამოკიდებული იყოს კოორდინატებზე  $x$ , სიჩქარე  $v$  და დროზე  $t$ . დაყვანილი მასის სიდიდე ასევე შესაძლოა იყოს ცვლადი და დამოკიდებული მდებარეობაზე (კოორდინატი  $x$ ). აღვნიშნოთ ცვლადი დაყვანილი ძალა  $P(x, v, t)$  და დაყვანილი მასა  $m(x)$ . თანახმად ენერგიის შენახვის კანონისა, სისტემის კინეტიკური ენერგიის ნამატი ტოლია მოქმედი ძალების ელემენტარული მუშაობისა

$$d\left[\frac{m(x)v^2}{2}\right] = P(x, v, t)dx$$

ან

$$\frac{d}{dx}\left[\frac{m(x)v^2}{2}\right] = P(x, v, t).$$

დიფერენცირებისას ვიპოვთ

$$\frac{v^2}{2} \cdot \frac{d[m(x)]}{dx} \frac{vdv}{dx} m(x) = P(x, v, t).$$

ან ჩანაცვლებისას  $v = \frac{dx}{dt}$  და გარდაქმნისას,

$$m(x) \cdot \frac{d^2x}{dt^2} + \frac{1}{2} \frac{d[m(x)]}{dx} \cdot \left(\frac{dx}{dt}\right)^2 = P(x, v, t). \quad (1)$$

მიღებული განტოლება საერთო სახით მათემატიკურ ფორმაში გამოსახავს ნიუტონის მეორე კანონს, სადაც  $m(x) = const$  და  $P(x, v, t) = const$ , იგი მარტივდება და დებულობს სახეს

$$m \frac{d^2x}{dt^2} = p. \quad (2)$$

თუ დაყვანილი სისტემა წარმოდგენილია მბრუნავი მასის ინერციის მომენტის  $J(\varphi)$  სახით, დამოკიდებული ბოლო მდებარეობაზე, ხოლო დაყვანილი ძალთა მომენტი  $M$  დამოკიდებულია კოორდინატზე  $\varphi$ , კუთხურ სიჩქარეზე  $\omega = \frac{d\varphi}{dt}$  და დროზე  $t$ , მაშინ ენერგიის შენახვის კანონის დიფერენციალური განტოლება მიიღებს სახეს:

$$J(\varphi) \frac{d^2\varphi}{dt^2} + \frac{1}{2} \cdot \frac{d}{d\varphi} [d(\varphi)] \left( \frac{d\varphi}{dt} \right)^2 = M(\varphi, \omega, t) \dots \quad (3)$$

ეს განტოლება ანალოგიურია განტოლებისა (1) სადაც  
 $J(\varphi) = const$  და  $M(\varphi, \omega, t) = const$  მივიღებთ

$$J \frac{d^2\varphi}{dt^2} = M. \quad (4)$$

გარდა ანალიტიკური მეთოდისა, არსებობს რიგი საშუალებები, ხისტი სისტემებისათვის დინამიკური ამოცანების ამოხსნისათვის, როგორიცაა გრაფიკული და გრაფო-ანალიტიკური მეთოდები.

დრეკადი სისტემების დინამიკის ამოცანები მდგომარეობს თვისებათა ცვლილებების განსაზღვრაში, რგოლების დინამიკური დატვირთვების მაქსიმალურ მნიშვნელობებში, პერიოდებსა და სიხშირულ რხევებში და სისტემის რეზონანსული მდგომარეობის პირობებში. ისევე როგორც ხისტი სისტემებისა, მანქანათა რეალურ სქემებს ცვლიან დაყვანილებით. რიგ შემთხვევებში (შეყურსულ მასათა აშკარა გამოვლინებისას) დაყვანილი სქემა გამოისახება, ერთი ან რამდენიმე თავისუფლების ხარისხის მქონე სისტემის სახით. დაყვანილი მასები, ასევე დრეკადი რგოლების სიხისტეები და მოქმედი გარე ძალები (ასევე მოქმედი), შეიძლება იყვნენ ცვალებადნი, დამოკიდებული მდებარეობაზე, მოძრაობის სიჩქარეზე ან დროზე.

დინამიკური დატვირთვები ყოველთვის არ არიან პირდაპირ კავშირში სისტემის დრეკად რგოლების სიხისტესთან. ყველა მექანიკური სისტემა ფლობს დრეკადობას, ამიტომ არასწორია იმის მტკიცება, რომ ხისტი სისტემის რგოლებზე დინამიკური დატვირთვების განსაზღვრისათვის საჭირო მყარი სხეულების დინამიკის ფორმულათა გამოყენება და მხოლოდ დრეკადი რგოლებისათვის დრეკადი სისტემის დინამიკის ფორმულებისა.

ორი ან მეტი თავისუფლების ხარისხის მქონე დრეკადი სისტემის დინამიკის ამოცანათა ამოხსნისას, მოხერხებულია მიღებული კოორდინატთა რიგი დამოუკიდებელი სიდიდეებისა (მზომი ხაზობრივი ან კუთხური სიდიდეებით), რომელიც განსაზღვრავს სისტემის მდებარეობას.

თანამედროვე მანქანების ამძრავთა ჯაჭვებში გამოყენებული რეალური მიმული სისტემები, ძირითადად მიეკუთვნებიან რთულ არაწრფივს, გარკვეულ შემთხვევებში კი არასტაციონარულ სისტემებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათი გაანგარიშებისა და დაპროექტების საკითხებს [65, 33, 35, 70-77].

თავისუფალი და იძულებითი რხევების ანალიზის მეთოდები, დაფუძნებული ა.მ. ლიაპუნოვის მოძრაობის მდგრადობის შესახებ ფუნდამენტურ თეორიებზე, ფაზური სივრცეების სტრუქტურის გეომეტრიულ აგებასთან დაკავშირებული ტიპოლოგიური მეთოდები, დიფერენციალური განტოლებების ხარისხობრივი თეორიის მეთოდები, მორგებისა, გადამცემი ფუნქციის განსაზღვრებაზე და სისტემების სიხშირით მახასიათებლებზე დაყრდნობილი სხვაობითი მეთოდები და სხვა [78, 79], რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ მკაცრად დასაბუთებული შედეგები, ჩვეულებრივად ძალიან რთულნი არიან დასაპროექტებელი სისტემების სტრუქტურისა და პარამეტრების წინასწარი შერჩევის პროცესში და ინჟინრული გათვლების პრაქტიკაში გამოყენებისათვის. ამიტომ ანალიზის ზუსტ მეთოდებთან ერთად დიდ პრაქტიკულ გამოყენებას იძენენ მიახლოებითი მეთოდები, რომლებიც ხასიათდებიან პარამეტრების წინასწარი შერჩევის პროცესში პრაქტიკული გამოყენების სიმარტივით და ცალკეული სტრუქტურული ელემენტების სისტემების საერთო სტრუქტურულ მთლიანობაში შერწყმაში გამოვლენილი მიდამოების შიგნით პარამეტრების და სტრუქტურის ზუსტი მეთოდების გამოყენებით შემდგომი დაზუსტებით. ამასთან ძალიან ხშირად მეთოდის პრაქტიკული გამოყენების სიმარტივეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მაღალ სიზუსტეს. ეს აისხება იმით, რომ ნებისმიერი ხარისხის არაწრფივ სისტემებში დინამიკური პროცესების საკმარისად ზუსტი და დეტალური კვლევა (სხვადასხვა საწყის პირობებში და სხვადასხვა გარე ზემოქმედებისას) ახლანდელ დროში შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული სამოდელო მოწყობილობებით და გამომთვლელი მანქანებით.

არაწრფივ სისტემებში პროცესების მიახლოებითი კვლევისთვის ფართო გამოყენება პპოვეს პარმონიული გაწრფივების და მასთან

მონათესავე-მცირე პარამეტრების, პარმონიული ბალანსის და სხვა მეთოდებმა [73, 81-84].

არაწრფივი სისტემების მიახლოებითი გათვლის მეთოდები, განხილული ი.ა. ორურკის, ვ.ი. სტანკევიჩის, ი.ი. კრინეცის და სხვათა შრომებში [81-84], შეიძლება იყვნენ გამოყენებული მონოტონურ პროცესებთან ახლოს გარკვეულად შეზღუდულ კლასში მყოფი არაწრფივი ავტომატური სისტემების კვლევაში, რომელთა არაწრფივი ფუნქციები მოიცავენ ერთ-ორ ერთმნიშვნელოვან უბან-უბან წრფივ მახასიათებლიან არაწრფივ ფუნქციებს. ამასთან ერთად, ხსენებული მეთოდები საშუალებას გვაძლევენ ვაწარმოოთ სისტემის გაანგარიშებები, რომელიმე ერთი სისტემის დინამიკური თვისების მახასიათებელი კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილების პირობიდან.

სამოდელირებელი მოწყობილობების და ეგმ-ის გამოყენება დასაპროექტებელი სისტემების სქემებისა და პარამეტრების არჩევისათვის, დაფუძნებელია მრავალრიცხოვან მოსინჯვებზე შემუშავებული სქემების პარამეტრების სხვადასხვა შეთანწყობისას. რადგანაც სისტემაში შემავალი ელემენტების პარამეტრების შეთანწყობა ძალიან მრავალგვარია, ხოლო სისტემის სტრუქტურული სქემების რიცხვი ძალზე დიდია, ამიტომ ყველაზე მარტივი გადაწყვეტილების მოძებნა მოითხოვს დროის დიდი რაოდენობის დახარჯვას [84].

სტრუქტურულად რთული სისტემების ეფექტურ მეთოდთა შორის, რომლებიც ხასიათდებიან როგორც პარამეტრული, აგრეთვე სტრუქტურული სინთეზის თვალსაზრისით საკმაოდ ფართო შესაძლებლობებით, წარმოადგენენ სინთეზის ცნობილი მეთოდები მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით. მათ შორის საჭიროა აღინიშნოს რეგულირების წრფივი სისტემების სინთეზის მახასიათებლების გამოყენებაზე.

ამ მახასიათებელთა გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მახასიათებლების საკმაოდ ზუსტი დამთხვევას სიხშირეთა მნიშვნელოვან არეში შეესაბამება ორიგინალების დამთხვევა [85, 86, 87].

ორიგინალის  $f(t)$  წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებელს მივიღებთ  $F(p) \doteq f(t)$  გამოსახულების არგუმენტს, სადაც  $p$  – ლაპლასის ოპერატორია, მოვანიჭებთ რიგ საგნობრივ  $p = \delta$ , მნიშვნელობებს  $\delta$ -ს განვიხილავთ წარმოსახვით სიხშირედ  $\omega = -j\delta$  ხარისხში.

წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლების სიახლოვის პირობიდან გამომდინარე ორიგინალების სიახლოვის პრინციპზე არის აგებული ორიგინალების მიახლოებითი განსაზღვრის მეთოდი.

წარმოსახვით სიხშირეთა მააპროქსიმირებელი მახასიათებლები ზოგადი მიდგომით აიგებიან განუსაზღვრელი  $a_i$  და  $b_i$  კოეფიციენტების შემცველი შემდეგი სახის გამოსახულება გამოყენების ბაზაზე

$$F^\circ(p) = \frac{b_0 + b_1 p + b_2 p^3}{a_0 + a_1 p + a_2 p^3 + p^3}; \quad (5)$$

$$F^\circ(p) = \frac{b_0 + b_1 p}{a_0 + a_1 p + a_2 p^2} \quad (6)$$

ეს მახასიათებლები პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდნენ მახასიათებლების  $F^\circ(o)$  და  $F^\circ(\sim)$  ზღვრულ მნიშვნელობებს.

სინთეზის პერიოდში  $a_i$  და  $b_i$  კოეფიციენტები არიან მოცემულნი და საძიებლებს მიეკუთვნებიან სინთეზირებადი სისტემის რეგულირებადი კოორდინატის  $F(p)$  გამოსახულებაში წარმოდგენილი კოეფიციენტები. ზოგადი მიდგომით სინთეზირებადი და სასურველი კოორდინატების გამოსახულებები შესაძლოა ჩაწერილი იქნან ასე:

$$F(p, \sigma_j) = \frac{M(p) + \sum_{j=1}^S \sigma_j M_j(p)}{N(p) + \sum_{j=1}^S \sigma_j N_j(p)} = x(t) \quad (7)$$

და

$$F^\circ(p) = \frac{M^\circ(p)}{N^\circ(p)} = x^\circ(t), \quad (8)$$

სადაც  $M^\circ, M, N^\circ$  და  $N - p$ , გარკვეული პოლინომები,  $\sigma_j$  – სინთეზირებადი კოეფიციენტები (პარამეტრები).

პროცესების ინტეგრალური მიახლოება

$$(p, \sigma_j) \cong F^\circ(p). \quad (9)$$

გამლილი სახით მიიღებს სახეს

$$M^\circ(p) \sum_{j=1}^n \sigma_j N_j(p) - N^\circ(p) \sum_{j=1}^n \sigma_j M_j(p) = N^\circ(p) M(p) M^\circ(p) N(p). \quad (10)$$

მიღებული (10) გამოსახულების თანახმად ჩაიწერება პირობითი განტოლებები  $p = \delta$  აკროქსიმაციათა  $l$  კვანძებისათვის.

ნაშრომში [77] რეკომენდირებულია  $\delta_v$  სიხშირეთა განთავსება მოცემული გეომეტრიული პროგრესის

$$\delta_v = \delta_0 q^{-v}, \quad v = 0, \dots, k-1.$$

თანახმად, რომლის მნიშვნელი  $q = 2$ .

შემდგომ პირობითი განტოლებები მრავლდება  $\lambda_v(\delta_v)$  ნამრავლზე.

ამ ნამრავლების (წონითი კოეფიციენტების) განსაზღვრისათვის საჭირო თეორიული მიდგომები და მათემატიკური გამოსახულებები აგრეთვე მოყვანილია ნაშრომში [88].

წარმოსახვით სიხშირეთა გამოყენებაზე დაფუძნებული სინთეზის მეთოდის ეტაპს წარმოადგენს გაანგარიშებებით სინთეზირებადი სისტემის დინამიკური მდგრადობის დამაკმაყოფილებელი პირობის შემოტანა ხორციელდება ორი გარირებადი პარამეტრის გარიაციის მეშვეობით.

ნაშრომებში [89-95] წარმოდგენილია რეგულირების არაწრფივი სისტემების სინთეზის მეთოდი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით. ამ ნაშრომებში არაწრფივი სისტემების პროცესების სასურველ პროცესებთან ინტეგრალური მიახლოების მათემატიკური აპარატის თვალსაზრისით გამოყენებულია  $\Phi_g$  ფუნქციონალები არაწრფივი რგოლების ამონასსნების მიხედვით [87]

$$\Phi_g = \int_0^{r_g} \varphi_g^2 [\bar{x}_i(t); \bar{\varepsilon}(t)] dt, \quad (11)$$

სადაც  $\bar{\varepsilon}_i(t)$  და  $\bar{x}_i(t) - \text{სასურველი } \bar{x}_i(t)$  პროცესები,  $\varphi_g(t) = 0 - \text{არაწრფივი }\dot{\varepsilon}$  დიფერენციალური განტოლებები,  $r_g$  – დროის ინტერვალები, რომლებზედაც რეალიზდებიან ინტეგრალური მიახლოების პროცესები.

აღნიშნულ ნაშრომებში განხილულია ამოცანები: სასურველი პროცესების მოცემისა, ფუნქციონალური ურთიერთკავშირის განსაზღვრისა

სინთეზირებად პარამეტრებსა და სასურველ პროცესებთა შორის, სინთეზირებად სისტემაში მდგრადობის პირობის შემოტანისა.

სინთეზირებადი რეგულირების სისტემის  $i$ -ური არაწრფივი რგოლების სასურველ შემავალი  $\bar{\varepsilon}(t)$  და გამომავალი  $\bar{x}(t)$  კოორდინატების განსაზღვრისათვის არაწრფივ სისტემასთან შესაბამისობაში შემოდის კონკრეტული დროში ფიქსირებული პარამეტრების შემცველი განსაზღვრული „სასურველი პროცესის წრფივი სისტემა“. ასეთ მიღებობისას  $\bar{\varepsilon}_i(t)$  და  $\bar{x}_i(t)$  წარმოადგენენ „სასურველი პროცესის წრფივი სისტემის“  $i$ -ური რგოლების შემომავალ და გამომავალ კოორდინატებს.

განსახილველ სინთეზის მეთოდში თანახმად ნაშრომისა [96] მდგრადობის პირობის შემოტანა რეალიზდება სასურველ პროცესებში შემოტანილი კომპლექსური  $z_m$  - დროის მასშტაბური კოეფიციენტის ვარიაციის მეშვეობით, მასთან დაკავშირებით შემავალ და გამომავალ კოორდინატებს განვიხილავთ სახით

$$\begin{aligned} & \left. \bar{x}_i\left(\frac{1}{z_m}, t\right) \right\} \\ & \left. \bar{\varepsilon}_i\left(\frac{1}{z_m}, t\right) \right\}. \end{aligned} \quad (12)$$

წარმოდგენილი მეთოდი საშუალებას იძლევა სინთეზის პროცედურის განხორციელების გარდამავალი პროცესების გარკვეული მაჩვენებლების დაკმაყოფილების პირობიდან გამომდინარე მთელი რიგი ზემოქმედებების დროს.

არასტაციონარული სისტემების კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში [97-101] აღწერილია კვლევის ესა თუ ის შესაძლო მეთოდები.

პროფესორ თ.თ. მჭედლიშვილისა და მისი სხვადასხვა თანაავტორების ნაშრომებში [102-118] გადმოცემულია არაწრფივი სისტემების კვლევასთან დაკავშირებული საკითხები.

აკადემიკოს რ.შ. ადამიასა და პროფესორ ა.ი. ბეროშვილის ნაშრომები მიძღვნილია ამძრავთა რთული სისტემების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საკითხებისადმი [119-121].

## 2. შედეგები და მათი განსჯა

### 2.1. პიდრო და პნევმომოწყობილობებით აღჭურვილი საჩარხო სისტემების სტრუქტურული სქემები

წინა თავში განხილული პნევმატიკური სახები იარაღებით აღჭურვილი საჩარხო სისტემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლს მიეკუთვნება ის, რომ მაკოპირებელი სისტემები მთლიანობაში აგებულია მექანიკური ელემენტების გამოყენებაზე, რაც განაპირობებს ძირითადი და დამხმარე მოძრაობათა მექანიზაციისა და აგტომატიზაციის ხარისხის დაბალ დონეს.

მიმჭერი ზამბარის არსებობასთან დაკავშირებულია (ნახ. 6) მოყვანილ სქემაში კოპირების პროცესში დამატებითი ცდომილების შემოტანა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია მიმჭერი ძალის ცვალებადობით საკმაოდ მნიშვნელოვან ზღვრებში. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებული იყო ნახ. 9-ზე მოყვანილი პნევმატიკური მიმჭერი მოწყობილობით აღჭურვილი მაკოპირებელი ჩარხის სტრუქტურული სქემა.

მოყვანილ სქემაში ზამბარა 4-ის ნაცვლად სახები პნევმოცილინდრის მიჭერა დასამუშავებელ ზედაპირზე ხორციელდება პნევმოცილინდრით 4, რომლის დგუში იმყოფება გარკვეული წევის ზემოქმედების ქვეშ.


ნახ. 9 მოყვანილია შემუშავებული პნევმატიკური [122, 123, 124] მოწყობილობის სქემა, რომელიც ძალოვანი ჩაკეტვის ფუნქციასთან ერთად აგრეთვე ასრულებს დასამუშავებელ ნამზადებთან და კოპირებასთან მჭრელი იარაღებისა და მაკოპირებელი გორგოლაჭების აჩქარებული მიყვანისა და უკუსვლის ფუნქციებს.

ამ სქემაზე: 1 – პნევმატიკური ცილინდრი, 2 – პნევმოცილინდრის დგუშის ჭოკი, 6 – პნევმოგამანაწილებელი, 5 – გადასაშვები (დაწნევის) სარქველი, 7, 8 და 9 – პნევმოხაზები [123].

სისტემის მუშაობის ძირითადი ციკლები ხორციელდებიან შემდეგნაირად.

1. მჭრელი იარაღებისა და მაკოპირებელი გორგოლაჭების დასამუშავებელ ზედაპირებთან და კოპირებთან მიყვანის პროცესის

რეალიზაციისათვის გამანაწილებელი 6 იმუოფება ნახაზზე მოყვანილ მდებარეობაში. მოძრაობა იწყება დგუშის ნახაზზე წყვეტილი ხაზებით გამოსახული საწყის მდებარეობიდან და მისი მოძრაობა ხორციელდება შემდეგი ეტაპებით:



ნახ. 9. პნევმატიკური მიმჭერი მოწყობილობის პრინციალური სქემა

- ჰაერი მიწოდება არხით 7, არხი 9 გადაბეტილია, დგუში აჩქარებულად მოძრაობს ზევით;
- იღება ჰაერის არხი 9, მუშაობაში ერთვება გადასაშვები სარქველი 5, იწყება შენელებული მოძრაობა;
- როგორც თუ არა მაკოპირებელი გორგოლაჭი მიებჯინება კოპირს დგუში ჩერდება და გორგოლაჭისა და კოპირის კონტაქტის წერტილში ქმნის გარკვეულ წნევას. ჰაერის ნამატები გადიან გადასაშვები სარქველის 5 გავლით ატმოსფეროში. მიჭერის ძალა განისაზღვრება დამოკიდებულებით

$$F_M = P_K^* S_2 - P_M S_2,$$

სადაც  $S_1$ ,  $P_K^*$  და  $S_2$ ,  $P_M$  – შესაბამისად დგუშების ეფექტური ფართები და წნევები პნევმოცილინდრის უჭოკო და ჭოკიან არეებში, რომელთა მნიშვნელობები განისაზღვრებიან მიჭერის საჭირო პირობიდან.

II საიარადო ხორთუმების დაშორება ნამზადებისა და კოპირების მიმართ.

გამანაწილებელი 6 აწეულია ზევით:

ა) პაერი 8 და 9 არხების გავლით გადის ატმოსფეროში და დგუში ახორციელებს აჩქარებულ მოძრაობის ქვევით;

ბ) პაერის არხი 8 გადაკეტილია, პაერის გასვლა ატმოსფეროში ხორციელდება 9 არხის და გადასაშვები სარქველის მეშვეობით, დგუშის მოძრაობა ნელდება;

გ) გადაკეტება არხი 9, რის შედეგადაც ხორციელდება გაძლიერებული დამუხრუჭებული პაერის ჩაკეტილი მოცულობით.

როგორც ეს იყო აღნიშნული ლიტერატურულ მიმოხილვაში მრგვალი კვეთის დაღუნული დეტალების ხეხვის პროცესის თვალთვალის სიჩქარეზე და შესაბამისად მწარმოებლურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოთვალთვალე სისტემის მოძრავი ნაწილის მასა, ნამზადის მიწოდების სიჩქარე, როტორისა და სახეო პნევმოცილინდრების ბრუნვათა სიხშირე, დაკავშირებული მათ გაბარიტებთან, მასებთან და დისბალანსებთან.


ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მექანიკური მიმყოლი სისტემებით აღჭურვილი შემუშავებული როტორულ-სახეო ჩარხები საშუალებას იძლევიან შეასრულონ დეტალების დამუშავება საჭირო მაჩვენებლებით მიწოდების რეჟიმებით 0,1 მ/წმ-მდის. ასეთი შეზღუდვები განპირობებულია მაღალი დინამიკური ძალური ზემოქმედების გაჩენით ამაღლებულ სიჩქარით რეჟიმებზე მუშაობისას, რომლებიც თავის მხრივ განპირობებულია მოძრავი ელემენტების ინერციული მახასიათებლების არსებითი მნიშვნელობებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს მიმყოლი მექანიზმების ჯაჭვებში გაძლიერების პიდრავლიკური, ელექტროპიდრავლიკური და ელექტრომექანიკური მოწყობილობების გამოყენების მიზანშეწონილობა. ამ მიმართულებით წინამორბედ თავში განხილული გაღუნული დეტალების დამამუშავებელი საჩარხო ხაზების ბაზაზე შემუშავებული იქნა პიდრავლიკური მიმყოლი ამძრავით აღჭურვილი მაკოპირებელი ჩარხი [123, 125].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარხმშენებლობაში პიდროამძრავმა პპოვეს ფართო გამოყენება ავტომატურ ხაზებში და მაკოპირებელ ჩარხებში.

პიდროამძრავის გამოყენება განპირობებულია მისი შედარებით

მაღალი საიმედოობით საწარმოო პირობებში, მაღალი სწრაფქმედებით, შესანიშნავი კომპონირებადი თვისებებით, ხაზოვანი გადაადგილებების განხორციელების სიმარტივით, სიჩქარისა და ძალების რეგულირების ფართო დიაპაზონით და სიმარტივით, შემსრულებელი ორგანოების საჭირო მდებარეობაში გაჩერების შესაძლებლობის სიმარტივით, სტანდარტული ელემენტებისა და კვანძების ანაწყობების გამოყენებით, პიდრავლიკური ამძრავების და სისტემების კომპანიებისათვის საჭირო ლოგიკური სქემების განხორციელების სიმარტივით [31-35-123].



ნახ. 10. მაკოპირებელი ჩარხის კინემატიკური სქემა


აღნიშნული ჩარხის ძირითადი სტრუქტურული (ნახ. 10) ელემენტებია: სახეხი პნევმოცილინდრები 1 და 2 ბარბაცა 4-ის საკისრებში მბრუნავი როტორი 3 როტორთან ერთად ქმნიან სახსრულ პარალელოგრამს: მიმყოლი (მოთვალთვალე) რგოლი 7 და ერთმანეთთან ზეთის ხაზებით ურთიერთდაკავშირებული მმართველი ოთხხვრელიანი მკვეთარას 8 და ძალოვანი პიდროცილინდრისაგან შემდგარი პიდრავლიკური მიმყოლი სისტემა.

სახები პნევმოცილინდრები მათ მხრეულებთან ერთად გაწონასწორებულნი არიან საპირწონებით 17. მმართველი მკვეთარა 8 დაუენებულია სახსროვანი პარალელოგრამის ბარბაცზე. სახები პნევმოცილინდრები სახსრულად არიან დამაგრებულნი ჩარხის როტორზე და დაზამბარებული არიან შეკუმშვის ზამბარებით 10. დემპფერები 11 განპირობებული არიან დამუშავების პროცესში აღძრული რხევების ჩახშობისათვის. დეტალი 5-ის მრუდწირული კონტურის ხეხვა იწარმოებდა შემდეგნაირად. როტორის ბრუნვისას ნამზადი 5 თავისი მრუდწირული კონტურით ზემოქმედებს სახეს პნევმოცილინდრებზე, რომლებიც გადაადგილდებიან რა როტორის ლერძის მიმართ, გადაადგილებენ მხრეულებთან 12 და 13 სახსრულად დაკავშირებულს, 15 ბერკეტების და 14 და 16 ზამბარების მეშვეობით და დაზამბარებულ რგოლს 7. მიმყოლი რგოლის 7 გადაადგილება გადაეცემა ბერკეტებს 15 და შემდგომ მკვეთარას 8 საცეცხლე, რომელიც თავის მხრივ მართავს განსახილველი ჩარხის ნამზადის გაღუნული დერძის მიმართ ჩარხის როტორის მიმყოლი მოძრაობების განმხორციელებელ ჰიდროცილინდრის 9 დგუშის გადაადგილებებს.

აღწერილი ჰიდროფიცირებული ჩარხის შემდგომი ფუნქციონალური და შესაბამისად სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით ნაშრომში შემოთავაზებულია მრუდწირულ-ფასონური დეტალების ჰიდროფიცირებული როტორულ-სახები ჩარხი, რომლის სტრუქტურული სქემა მოყვანილია ნახ. 11 [128, 129].

ნახ. 11: 1 – საჩარხო როტორი, 2 – სახები პნევმოცილინდრების ლერძული გადაადგილებების მუშტა მექანიზმი, 5, 6 და სახები ცილინდრების მექანიზმის მხრეულები, 7, 8, 4 – სპეციალური რგოლი, რომელიც სახსრულად დაკიდულია ბერკეტული მექანიზმების მეშვეობით 13, 14, 19-22 ჩარხის როტორზე, 23 – მქნევარა, 24 და 25 – მქნევარები, რომლებზედაც სახსრულად დაკიდულია მქნევარა 23. რგოლი 4 ჰორიზონტალური მიმართულებით (23 მქნევარას სიბრტყის გასწვრივ) ზემოქმედებს ბერკეტული გადაცემის მეშვეობით მოთვალოვალე მკვეთარაზე, რომელიც დამაგრებულია მქნევარა 23-ზე. ეს მკვეთარების სისტემა ზეთსადენების მეშვეობით დაკავშირებულია ჰიდრავლიკურ ცილინდრთან 27, რომელიც დგუშის კოჭით დაკავშირებულია მხრეულობის გადაადგილებების მეშვეობით (23 მქნევარას სიბრტყის გასწვრივ).

24. დემპფერი 17 და 18 განკუთვნილია სახეხით ცილინდრების მექანიზმის რჩევების ჩასახშობად.



ნახ. 11. ჰიდრომოტოვალთვალე მექანიზმის სქემა ბრტყელმრუდწირულ  
ფასონური დეტალებისათვის

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში [129] მოყვანილია ჩარხის მოდიფიცირებული სტრუქტურული სქემა. ამ სქემაზე მაკოპირებელი რგოლი 4 არ ასრულებს ბრუნვით მოძრაობებს, რითაც აღმოფხვრილია ამ რგოლის გაუწონასწორებლობით გამოწვეული ჰიდროსისტემის რჩევითი მოძრაობები.

როგორც ზემოთ აღნიშნულია ჰიდროსისტემის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ ჰიდრავლიკური მკვეთარა და ჰიდროცილინდრი. აღნიშნული სისტემის სტრუქტურული და ფუნქციონალური თვისებულებების ანალიზის თვალსაზრისით.

ნახ. 12 მოყვანილია დროსელური რეგულირების ჰიდროამძრავი, რომელიც მუშაობს მუდმივი წნევის წყაროდან, ე.ი.  $p_{II} - p_H - p_{ci} = const$  [31, 99].

ნახ. 12-ზე არ არის ნაჩვენები კვების სისტემა, რადგან მის თავისებურებებს აქვს მნიშვნელობა ენერგეტიკული მახასიათებლების ანალიზის დროს. ასეთი ჰიდროამძრავის, კერძოდ, ჰიდროცილინდრის, მახასიათებლები განისაზღვრება როგორც ჰიდროგამანაწილებლის და ჰიდროამრავის პარამეტრებით, აგრეთვე დატვირთვის სახით და საყრდენის და მილგაყვანილობის სიხისტის. ჰიდროძრავებზე მოქმედებენ


სხვადასხვა ძალები. მათ შორის მნიშვნელოვანი ძალა  $P_m = m \frac{dy^2}{dt^2}$ ,

რომელიც გამოწვეული დატვირთვის მასის აჩქარებით. ბლანტი

ხახუნით გამოწვეული ძალა  $P_y = k_{py} \frac{dy}{dt}$ ; დატვირთვის ხიხისტი

გამოწვეული ძალა  $P_c = c_n y$ ; კონტაქტური ხახუნის ძალა  $P_{TP} = |P_{TP}| \operatorname{sgn} \frac{dy}{dt}$ ;

მუდმივი ძალა  $P_0$ .



ნახ. 12. დროსელური რეგულირების ჰიდროამძრავი მოქმედი დატვირთვებით, არახისტი საყრდენებითა და გაყვანილობით

ძალები  $P_y$  და  $P_{TP}$  ყოველთვის მიმართულია ჭოკის მოძრაობის საწინააღმდეგოდ. ძალები  $P_c$  და  $P_0$  შეიძლება მიმართული იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით, რაც განტოლებებში აღნიშნულია შესაბამისი ნიშნით.  $P_m$  ძალის ნიშანი დამოკიდებულია დატვირთვის მდგომარეობაზე.

ჰიდროამძრავის შერჩევისა და შეფასებისას ჩვეულებრივ განიხილება სამი სახის მახასიათებლები: სტატიკური (სარეგულირებელი), ენერგეტიკული და დინამიკური.

თუ დროსელური მართვის პიდროამძრავი შეიცავს მკვეთარას ტიპის ოთხევრელიან იდეალურ პიდროგამანაწილებელს და ორმხრივ ჭოკიან პიდროცილინდრს, თანატოლი დგუშის ეფექტური ფართით  $f_n$  მაშინ მისი სტატიკური მახასიათებლების განზოგადოებულ განტოლებას ექნება სახე [31, 34]:

$$v_y = \frac{\mu b x}{f_\Pi} \sqrt{\frac{P_\Pi - \operatorname{sgn} x \frac{P_y}{f_\Pi}}{\rho}} = x k_{v_x} \sqrt{1 - \operatorname{sng} x \frac{P_y}{f_\Pi}}. \quad (13)$$

განტოლებაში (13) შეუვანილია ჩქაროსნული მახასიათებლის დახრილობის კოეფიციენტი:

$$k_{v_x} = \frac{\mu b}{f_\Pi} \sqrt{\frac{P_\Pi}{\rho}},$$

ეს დახრილობის კოეფიციენტი ახასიათებს დგუშის სიჩქარეს გამანაწილებლის მკვეთარას გადადგილებასთან უქმი სვლის რეჟიმში.

განტოლება (13) შეიძლება აგრეთვე წარმოდგენილი იყოს განზომილების გარეშე სახით, რისთვისაც ის უნდა გავყოთ უქმი სვლის მაქსიმალურ სიჩქარეზე. თუ  $P_y = 0$   $x = x_{\text{მაქ}}$ , მაშინ

$$v_y = \bar{x} \sqrt{1 - \operatorname{sgn} \bar{x} \bar{P}_y}. \quad (14)$$

განზომილების გარეშე ძალა, რომელიც მოქმედებს ჭოკზე, უდრის:

$$\bar{P}_y = \frac{\bar{P}_y}{f_\Pi p_\Pi}.$$


ამრიგად, მახასიათებლიდ გადახრა დამოკიდებულია პიდროცილინდრის ჭოკზე მოქმედი ძალის სიდიდეზე და ნიშანზე.

ეს დამოკიდებულება ანალოგიურია იდეალური მკვეთარიანი ოთხევრელიანი დროსელირებადი პიდროგამანაწილებლის (ნახ. 13) განზოგადოებული სტატიკური მახასიათებლისა.

იდეალური პიდროამძრავის (პიდროგამანაწილებელი და პიდროცილინდრი სახუნის გარეშე) ჩქაროსნული მახასიათებელი ნაჩვენებია (ნახ. 13, a), უწყვეტი საზით. რეალურ ამძრავში (ნახ. 13, a) წყვეტილი საზი კონტაქტური სახუნის და მკვეთარას და გამანაწილებლის მასრას შორის არსებული დრებოს გამო ჩქაროსნული მახასიათებელს აქვს მდორე მრუდის სახე. ეს მრუდი იწყება არა კოორდინატთა

საწყისი წერტილიდან არამეს აბსცისის დერმზე მდებარე წერტილიდან. სიდიდე  $\Delta\bar{x}$  განსაზღვრავს რეალური პიდროამძრავის ჩქაროსნული მახასიათებლის არამგრძნობელობის ზონას. ფორმულაში (14) სიჩქარე  $\bar{v}_y$  გავუტოლოთ ნულს, მაშინ მივიღებთ იდეალური პიდროამძრავის ძალოვანი მახასიათებლის განტოლებას

$$\operatorname{sgn} \bar{x} \bar{P}_y = 1.$$



ნახ. 13. მუდმივი წნევის კვების წყაროდან მომუშავე დროსელური რეგულირების პიდროამძრავის სტატიკური მახასიათებლები

იდეალური და რეალური პიდროამძრავების ძალოვანი მახასიათებლები (შესაბამისად უწყვეტი და წყვეტილი ხაზები) ნაჩვენები (ნახ. 13, ა, ბ). ძალოვანი მახასიათებლის დახრილობა განპირობებულია ვარდნილი მახასიათებლის სახით ე.ი. მკვეთარას და მასრას შორის ღრებოს სიდიდით. ზოგ შემთხვევაში სიჩქარის პროპორციული მართვის პიდროამძრავებში გამოიყენება ერთკოჭიანი პიდროცილინდრები.


პიდროამძრავის დინამიკა უნდა განხილული იქნას მუშა სითხის კუმულაციის გათვალისწინებით. კუმულაციას განაპირობებს სითხეში არგახსნილი აირები. მუშა სითხის კუმულაციას განაპირობებს პიდრავლიკური სიხისტე.

განვიხილოთ მარტივი პიდროცილინდრის სქემა (ნახ. 14).

პიდროცილინდრი შეიცავს აბსოლუტურად ხის კედლიან ცილინდრს და მჭიდროდ მორგებულ დგუშს. მათ მიერ შემოსაზღვრული მოცულობა

შევსებულია კუმშვადი სითხით. თუ დგუშის ფართზე  $f$ , იმოქმედებს ძალა  $\Delta P$ , მაშინ სითხის და აირის დრეკადობის გამო დგუში გადაადგილდება სიდიდეზე  $\Delta y$ . მოცულობითი დრეკადობის მოდული განისაზღვრება

$$E = \frac{V\Delta P}{\Delta V}.$$



ნახ. 14. მარტივი ჰიდროცილინდრის სქემა

$$\text{ამ შემთხვევაში } \Delta p = \frac{\Delta P}{f_{\Pi}} \text{ და } \Delta V = f_{\Pi} \Delta y$$

$$\text{მაშინ } E = \frac{V\Delta P}{f_{\Pi}^2 \Delta y} \text{ სხვ } \frac{\Delta P}{\Delta y} = \frac{Ef_{\Pi}^2}{V}.$$

რადგან, ძალის ფარდობა გადაადგილებასთან ახასიათებს სიხისტეს, ბოლო განტოლება შეიძლება ჩაიწეროს ისეთი სახით, რომელიც ახასიათებს მარტივი ჰიდროცილინდრის ჰიდრავლიკურ სიხისტეს

$$C_j^l = \frac{Ef_{\Pi}^2}{V}. \quad (15)$$

განვიხილოთ ორმხრივ ჭოკიანი ჰიდროცილინდრი, რომელიც მიერთებულია (ნახ. 15) ოთხსვერელიან რეალურ დროს ელირებად ჰიდროგამანაწილებელთან, რომლის მკვეთარა იმყოფება ნეიტრალურ მდგომარეობაში. თუ დერძული გადახურვები და ყველა ოთხი სარკმლის

სიგანე ერთნაირია, მაშინ პიდროცილინდრის მუშა არებში წნევა  $P_0$  ტოლია და უდრის მიახლოებით კვების წნევის ნახევარს. ამიტომ სითხე იმყოფება შეგუმშულ მდგომარეობაში.

პიდროცილინდრის მარცხენა მუშა კამერის სიხისტე ფორმულის

$$(15) \text{ საფუძველზე უდრის } C_{\text{შ1}} = \frac{Ef_{\Pi}^2}{V_1}, \text{ მარჯვენა მუშა კამერის სიხისტე კი}$$


$$- C_{\text{შ2}} = \frac{Ef_{\Pi}^2}{V_2}.$$

ორმხრივკოჭიანი პიდროცილინდრის ჯამური პიდრავლიკური სიხისტე იქნება მარცხენა და მარჯვენა კამერის პიდრავლიკური სიხისტის ჯამის ტოლი

$$C_{\text{შ}} = C_{\text{შ1}} + C_{\text{შ2}} = \frac{Ef_{\Pi}^2}{V_1} + \frac{Ef_{\Pi}^2}{V_2} = Ef_{\Pi}^2 \left( \frac{1}{V_1} + \frac{1}{V_2} \right).$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი მუშა კამერის მოცულობა შესაბამისად უდრის

$$V_1 = (y_{\text{ასტ}} - y)f_{\Pi}; \quad V_2 = (y_{\text{ასტ}} - y)f_{\Pi}.$$



ნახ. 15. а) ორმხრივკოჭიანი და რეალური მეცნარა გამანაწილებლიანი პიდროცილინდრი;  
ბ) პიდროცილინდრის უგანზომილებო პიდრავლიკური სიხისტის დამოკიდებულება დღუშის უგანზომილებო გადაადგილებასთან

პიდროცილინდრის ჯამური სიხისტის ფორმულა მიიღებს სახეს:

$$C_3 = Ef_{\Pi}^2 \left[ \frac{1}{(y_{\text{ასქ}} - y)f_{\Pi}} + \frac{1}{(y_{\text{ასქ}} - y)f_{\Pi}} \right]. \quad (16)$$

ამრიგად, პიდროცილინდრის ჯამური სიხისტე დამოკიდებულია არა მარტო მოცულობითი დრეკადობის მოდულზე  $E$ , არამედ დგუშის  $y$  ადგილმდებარეობაზე. ასეთი პიდროცილინდრული პიდრავლიკური სიხისტე მინიმალური, როდესაც  $y=0$ , ე.ი. დგუშის ნეიტრალურ მდგომარეობაში.

ამ შემთხვევაში

$$V_1 = V_2 = C_0 = f_n y_{\text{ასქ}}.$$

ამიტომ ფორმულა, რომელიც გვაძლევს პიდროცილინდრის უმცირესი პიდრავლიკური სიხისტის სიდიდეს, მიიღებს სახეს

$$C_3 = \frac{2Ef_{\Pi}^2}{V_0}. \quad (17)$$

ორმხრივჭოკიანი დგუშის მდებარეობის პიდროცილინდრის სიხისტეზე გავლენის ანალიზისათვის მოხერხებულია უგანზომილო პიდრავლიკური სიხისტის ცნების გამოყენება. ეს უგანზომილო სიდიდე მიიღება (16) გაყოფით (17)-ზე:

$$\bar{C}_3 = \frac{1}{2} \left( \frac{1}{1+\bar{y}} + \frac{1}{1-\bar{y}} \right). \quad (18)$$

პიდროცილინდრის უგანზომილებო პიდრავლიკური სიხისტის დამოკიდებულება დგუშის უგანზომილებო გადაადგილებისაგან მოცემულია (ნახ. 15, ბ).

დგუშის ნეიტრალური მდგომარეობიდან მცირე გადაადგილების შემთხვევაში სიხისტე იცვლება უმნიშვნელოდ. შემსრულებელ პიდროხაზების მოცულობების მიერთება აფართოებს ასეთ არეს.

პიდრომძრავის მუშაობაზე გავლენას ახდენს ძალები, რომლებიც მოქმედებენ მართვის ობიექტზე, ამძრავის სიხისტეზე და საყრდენების სიხისტეზე (ნახ. 12).

რეალურ სისტემებში ეს ძალები შეიძლება მოქმედებდნენ ჭოკზე ცალ-ცალკე, ყველა ერთად და ნებისმიერი შეთანწყობით. ამრიგად,

ჰიდროცილინდრის ჭოკზე მოქმედი ჯამური ძალა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ძირითადი დატვირთვის ძალების ჯამი:

$$P_y = P_m + P_{\dot{y}} + P_c + P_{TP} + P_0,$$

ან

$$P_y = m \frac{d^2 y}{dt^2} + k_{p_y} \frac{dy}{dt} + c_H y + |P_{TP}| \operatorname{sgn} \frac{dy}{dt} + P_0. \quad (19)$$

ჰიდროამძრავის ხარჯების განტოლება (ნახ. 12) შეიძლება ჩავწეროთ ასეთი სახით (თუ  $C_{0\Pi} \rightarrow$  და  $C_{\Pi p} \rightarrow 0$ )

$$\mu b x \sqrt{\frac{p_H - \operatorname{sgn} x p}{\rho}} = f \frac{dy}{dt} + \frac{V dp}{2 E dt}. \quad (20)$$

განტოლების მარჯვენა მხარის პირველი წევრი განსაზღვრავს ხარჯს, რომელიც საჭიროა დგუშის გადასაადგილებლად, მეორე წევრი განსაზღვრავს დეფორმაციულ ხარჯს, რაც განპირობებულია სითხის კუმშვადობით.

წევების განტოლება განისაზღვრება დგუშზე მოდებული დატვირთვით და მისი ეფექტური ფართით

$$P = \frac{P_y}{f_\Pi}. \quad (21)$$

განტოლებების (19), (20) და (21) ერთობლივი გაანგარიშება (17) ფირმულის გათვალისწინებით

$$\frac{\mu b}{f_\Pi} \sqrt{\frac{p_\Pi}{f_\Pi}} = k_{ux} \text{ და } \frac{k_{pQ}}{f_\Pi} = k_{pv}.$$

გვაძლევს საშუალებას მივიღოთ დროსელური რეგულირების იდეალური ჰიდროამძრავის დინამიკის ზოგადი განტოლება

$$xk_{ux}c_3 \sqrt{1 - \operatorname{sgn} x \frac{1}{f_\Pi p_\Pi} \cdot \left( m \frac{d^2 y}{dt^2} + k_{p_y} \frac{dy}{dt} + c_H y + |P_{TP}| \operatorname{sgn} x \frac{dy}{dt} + P_0 \right)} = \\ -m \frac{d^3 y}{dt^3} + k_{pv} \frac{d^2 y}{dt^2} + (C_3 + C_H) \frac{dy}{dt} + \frac{d}{dt} \left( |P_{TP}| \operatorname{sgn} x \frac{dy}{dt} \right) + P_0. \quad (22)$$

## 2.2. საკოპირე-სახები ჩარხის მიმყოლი მექანიზმის დინამიკის მოდელირება

განხილული მოთვალთვალე სისტემის დინამიკის მათემატიკური მოდელის ასაგებად პირველ რიგში განვიხილავთ ჩარხის მუშაორგანოების ფარდობითი მოძრაობების კინემატიკას მაკოპირებელი მოძრაობების რეალიზაციის პროცესში [125, 127, 128]. ამასთან დაკავშირებით (ნახ. 12)-ზე წარმოდგენილია პნევმოცილინდრების ფარდობითი მოძრაობების კინემატიკის სქემა, სიბრტყეში, რომელიც პერპენდიკულარულია ნამზადის დერძული გადაადგილების ვექტორისა.

ნახ. 16: 1 – დასამუშავებელი ნამზადი, 2 – სახები პნევმოცილინდრი; 3 – მოთვალთვალე რგოლი;  $O_p$  და  $O_s$  – ნამზადისა და როტორის ღერძების მიმდინარე მდებარეობები, რომლებიც ხასიათდება შესაბამისად  $X_p$  და  $X_s$  კოორდინატებით, უძრავ საკოორდინატო სისტემაში  $O_0x_0y_0z_0$ ,  $O_k$  – რგოლის ღერძის მიმდინარე მდებარეობა 3;  $\varphi$  – როტორის ბრუნვითი მოძრაობის კუთხური კოორდინატი;  $\alpha$  – როტოროს დამჭერი მხრეულის მოქანავე მოძრაობის კუთხური კოორდინატი; 4 – მხრეული, რომელიც კინემატიკურად არის დაკავშირებული პნევმოცილინდრების რადიალურ გადაადგილებასთან (მხრეულები 7და 8 ნახ. 1); 5 – ზამბარა, რომელიც დაყენებულია პნევმოცილინდრებსა და მოთვალთვალე რგოლს შორის კინემატიკურ ჯაჭვში.

მიმდინარე გადაადგილება პნევმოცილინდრის ნამზადთან კონტაქტის წერტილისა  $y'$  ღერძის მიმართულებით კოორდინატთა სისტემის მიმართ გამოისახება დამოკიდებულებით

$$y_k = x_k |\sin \varphi| + r_3, \quad (23)$$


სადაც  $x_k - K$  წერტილის კოორდინატაა, ხოლო  $r_3$  – ნამზადის კვეთის რადიუსი.

პნევმოცილინდრების ბრუნვის ცენტრების მდებარეობა გამოისახება შემდეგნაირად [2; 3]

$$y_{u1} = x_{s1} |\sin \varphi| - x_p |\sin \varphi| + (R - \delta_1) \cos \gamma_1 + r_{s1}(x_{k1}); \quad (24)$$

$$y_{u2} = x_{s2} |\sin \varphi| - x_p |\sin \varphi| - (R - \delta_2) \cos \gamma_2 - r_{s2}(x_{k2}), \quad (25)$$

